საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№160 (12 230)

10 ივლისი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი




# 26 წლის შემდეგ...

## დინამომ კარლ ცაისს კიდევ მოუგო

ლეგენდარული 13 მაისის ფინალიდან 26 წლის შემდეგ, იენის "კარლ ცაისი" და თბილისის "დინამო" კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ამჯერად, ამხანაგურ შეხვედრაში, და "დინამომ" კიდევ ერთხელ გაიმარჯვა...

**კარლ ცაისი–დინამო 0:1**

0:1 მერებაშვილი (24. აკირემის პასით)

კარლ ცაისი: იენსენი, პოლსნერი, ომოდიაგბე, ონიანი, პაიდენრაიხი (67. მაული), პანსენი (67. კუნე), ლორენცონი (46. გიუნტერი), ფრიოლიხი (67. ტაპალოვიჩი), ზიგნერი, ვერნერი (67. ფანდიადი), ალაგვი.

დინამო: ოვონო, შ. კაშია, გ. კაშია, ზელიჩი, დობეში, კობახიძე, ხმალაძე, დილმელაშვილი (35. ხუციშვილი), ოდიკაძე (73. ფირცხალავა), მერებაშვილი, აკირემი (79. სპასოევიჩი).



კარლ ცაისი-დინამო. მწვავე მომენტი თბილისელთა კართან

გერმანიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა. ჯერ ის ვთქვათ, რომ "კარლ ცაისში" 90 წუთი ითამაშა ეროვნული ნაკრების მცველმა **გიორგი ონიანმა**. როგორც "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გვითხრა, სტადიონის დიქტორმა შეხვედრის დაწყებამდე მაყურებელს ამცნო, "კარლ ცაისის პოტენციური ახალწვეული კიდევ ორი ქართველი, **ილია კანდელაკი** და **გიორგი სეთურიძე არიანო**...

ახლა, უშუალოდ მატჩზე. პირველი ნახევარი თბილისელთა, მეორე კი იენელთა უპირატესობით წარიმართა. დასაწყისში, ხიფათი ორივე კართან შეიქმნა. **ზელიჩი-ოდიკაძე-მერებაშვილის** კომბინაციის შემდეგ გერმანელები სასწაულმა იხსნა. მალე, **ალაგვის** დარტყმული "დინამოს" მეკარე **ოვონომ** კუთხურზე მოიგერია. 24-ე წუთზე კი **დილმელაშვილმა აკირემი** მოძებნა, ამან **მერებაშვილს** გადააწოდა და ასე გავიდა მატჩის ერთადერთი გოლი. მერე, კინაღამ ონიანმა გაათანაბრა ანგარიში: ტაიმის მიწურულს მან კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თავით გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ოდნავ არაზუსტად...

სამწუხაროდ, დილმელაშვილმა და **ოდიკაძემ** ტრავმები მიიღეს. ამასობაში, "კარლ ცაისის" მწვრთნელმა **ფრანკ ნოიბარტმა** (არც ეს კაცია ჩვენთვის უცხო, 1987 წელს მას "ვერდერის" შემადგენლობაში "დინამოს" წინააღმდეგ უთამაშია) მოედანზე ოთხი ახალი მოთამაშე შეუშვა და თამაშის გადარჩენას შეეცადა. შეუტიეს კიდეც იენელებმა, მაგრამ ოვონომ და დაცვამ საიმედოდ ითამაშეს. "დინამოში", **კაშიებისა** და **ზელიჩის** გარდა, ახალმოსული ჩეხი მცველი **დობეშიც** გამოირჩეოდა. მსაჯის არაობიექტურობისა და ძელის შეზანზარების მიუხედავად, თბილისელები არ შედრკნენ და კარი უვნებლად შეინახეს...

"დინამო" სამშობლოში დღეს დაბრუნდება, მზადებას დილმის ბაზაზე გააგრძელებს და უეფაში განაცხადსაც დღეს გააგზავნის. ჩვენი ინფორმაციით, გაბონის ნაკრების ფორვარდი გუნდში დარჩება. შეიძლება, დობეშიც "დინამოს" ფეხბურთელი გახდეს.

დავით ცაბაძე

# ყოჩაღ, საჩიტა!

ცქიტიშვილმა დენვერში ხუთიანზე ითამაშა 7

# დღეს U20 ურთულესი ისრაელია

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი 7





ისრაელის ნაკრებში ომრი კასპი ძალიან საშიშია





ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დააგვიანე? ირბინე ტრიბუნებზე!

ფულკიემ ბორჯღალოსანთა ვარჯიშში ჯოჯოხეთად აქცია 8

# რეალში შუსტერი დაინიშნა

მსოფლიო ფეხბურთი 4-6



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ჩემპიონატი
www.pfl.ge



კოკა მიკუჩაძე

უსაფრთხო თამაში არაბებთან

# კოკამ სტადიონზე ქართველებიც მიიყვანა

**26 წლის შემტევი კოკა მიკუჩაძე შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა ბოლნისის "სიონში", 2006-07 წლების სეზონისთვის კი ისრაელის პირველი ლიგის "ბერშევაში" გადავიდა. მიკუჩაძემ სეზონი რიგიანად ჩაატარა, თუმცა სათუოა, ისევ "ბერშევაში" ითამაშოს. კოკა ახლა თბილისშია და სხვა გუნდში გადასვლაზეც ფიქრობს...**

- სეზონში 14 გოლი გავიტანე, 9 ჩემპიონატში, 5 თასზე, უმაღლეს, ჰაალიგაში გვინდოდა გადასვლა. სულ პირველ-მეორე ადგილზე ვიყავით, მაგრამ სეზონის ბოლოს ფეხი დაგვიცდა და მეოთხე ადგილზე გავედით. თასზეც კარგად ვითამაშეთ, ნახევარფინალში გავედით და აქ "სასნიმთან" წავაგეთ 1:2.

**- ისრაელში ქართველი ლეგიონერი მარტო შენ იყავი?**

- არა, კიდევ ერთი იყო - ირაკლი შენგელია, ისიც პირველ ლიგაში, "რამათაშარონში" თამაშობდა.

**- "ბერშევას" საშინაო თამაშებზე დაახლოებით რამდენი მაყურებელი დადიოდა?**

- ათი ათასამდე. სხვათა შორის, ბერშევაში დაახლოებით ამდენი ქართველი ემიგრანტია. ჩვენი გუნდის თამაშებზე კი ქართველობამ მაშინ დაიწყო სიარული, როცა გაიგეს, რომ იქ მათი თანამემამულე თამაშობდა. "ბერშევას" საშინაო მატჩებზე დაახლოებით 50-100 ქართველი გულშემატკივარი დადიოდა. ბერშევა არცთუ პატარა ქალაქია, იქ ბევრი არაბი ცხოვრობს, თუმცა არანაირი საფრთხე არ იგრძნობა.

**- სეზონი რომ დასრულდა, მერე აზერბაიჯანში აპირებდი სათამაშოდ წასვლას. "ბერშევაში" ალბათ იდეალური პირობები არ იყო...**

- პირობები ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ქართულ გუნდებშია, მაგრამ "ბერშევაში" ახლა არეულობაა - კლუბში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა და შესაძლოა, მწვრთნელიც შეიცვალოს. თუ მწვრთნელი დარჩება, ალბათ დავბრუნდები. კონტრაქტი მაქვს და ისიც უნდა გაირკვეს, ახალი ხელმძღვანელობა ჩათვლის თუ არა საჭიროდ ჩემს აქ ყოფნას.

**- რომელიმე ქართულ გუნდს არ სურს შენი აყვანა?**

- ჯერ არავის მოუმართავს. შემოთავაზებები მაქვს სხვა ებრაული კლუბებიდან და რა თქმა უნდა, იქ წავალ, სადაც უკეთეს პირობებს შემომთავაზებენ. "ბერშევაში" კი ისეთი პირობები იყო, როგორც ჰაალიგის გუნდებში, თუ არ ჩავთვლით ისრაელის საუკეთესო 2-3 გუნდს.

**დავით თავართქილაძე**

# გიგაური ოლიმპიდან წავიდა

## აფრიკელები სამი წლით რუსთავში

**დავით გიგაურმა** რუსთავის "ოლიმპთან" პირადი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თავი ქუდში ეგონა. თურმე, სულ ტყუილად, გუშინ შევიტყვეთ, რომ გიგაურმა ურეკში შეკრება მიატოვა და "ოლიმპს" დაემშვიდობა.

გუშინ ფეხბურთელს დავუკავშირდით. *"შეკრება დაიწყო, თამაშები ჩავატარეთ და ბოლომდე მაინც ვერ გავიგე, "დინამოდან" გამომისყიდეს თუ არა. ჩემი საკონტრაქტო ფულიც ასაღები მქონდა და როდესაც ვიკითხე, აღმოჩნდა, რომ "დინამოსთან"ვერ შეთანხმდნენ. ასე დავრჩი ჰაერში გამოკიდებული. არადა, პირადი კონტრაქტი გავაფორმე და რამხელა იმედი მქონდა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ვითამაშებდი"*, - ამბობს გიგაური.

თუმცა დათო უგუნდოდ არ დარჩება. თავად გვითხრა, რომ "ცხინვალიდან" დაუკავშირდნენ. თუმცა მისი ტრანსფერი ჯერ კიდევ შესათანხმებელია.

რუსთაველთა პრეზიდენტმა **ბადრი ქარქაშაძემ** ჩაშლილი ტრანსფერის მიზეზებზე კომენტარი გააკეთა: *"სამწუხაროდ, მართლა ასე მოხდა. გიგაურის ტრანსფერის გამოსყიდვა ძალიან ძვირი სიამოვნება გამოდიოდა. არაა "ოლიმპი" მდიდარი კლუბი და სურვილის მიუხედავად, "დინამოს" მაინც ვერ შევუთანხმდით"*.

როგორც ჩანს, გაბონის ნაკრების ცენტრალური მცველი **ერნესტ აკუსაგასა** და კონგოს ნაკრების ფორვარდის, **ბოდრი ჯილდასის** ტრანსფერი იაფი დაჯდა. ქარქაშაძის თქმით, ეს ორი მოთამაშე დარჩება და მათთან სამწლიან ხელშეკრულებებს გააფორმებენ. სავარაუდოდ, "ოლიმპი" სერბ გამთამაშებელს, **ვლადან ჟივკოვიჩსაც** დაიტოვებს. *"იგი უვარჯიშებელია, თუმცა კლასი აშკარად ეტყობა. თავად გვთხოვა, ორი კვირა ფორმის აღსადგენად მჭირდებაო და დროს მივცემთ. ალბათ, მასაც დავიტოვებთ"*, - აცხადებს ქარქაშაძე.

თუმცა კონგოელის და სერბის სატრანსფერო საბუთები ჯერ არ მიუღიათ და ხვალ, უეფაში განაცხადების მიღების ბოლო დღეს ელიან.

ქარქაშაძემ გვაცნობა, რომ უკრაინაში გასასინჯად მყოფი **თორნიკე აფციაური** საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ რუსთაველებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარება, თუკი ყაზახეთის ჩემპიონ "ასტანის" ბარიერს გაივლის. საქმე ისაა, რომ სამი წლის წინათ ვარშავის "ლეგიასთან" უეფას თასზე თორნიკემ წითელი ბარათი მიიღო და ორ შეხვედრას გამოტოვებს. მაშინ აფციაური "თბილისში" თამაშობდა.



დავით გიგაური

რუსთაველებმა ზუგდიდის "მგლებიდან" თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია** დაიმატეს. ის კლუბს მხოლოდ ევროტურნირზე დაეხმარება და შემდეგ ისევ "მგლებს" დაუბრუნდება.

დაბოლოს, გიორგი სეთურიძე დღემდე გერმანიის ვიზას ელის და "ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტს მისი იმედი არ გადაუწურავს: *"თუკი სეთურიძე "კარლ ცაისს" დროულად არ შეუერთდება, შესაძლოა, პირველ ეტაპზე მაინც ვათამაშოთ. ეს მასზე და გერმანულ კლუბზეა დამოკიდებული"*.

ქარქაშაძე დარწმუნებულია, რომ "ოლიმპი" ყაზახებს რუსთავის სტადიონზე უმასპინძლებს. საამისოდ საჭირო სამუშაოები ჩატარებულია და ჩემს სიტყვებში დარწმუნებული ვარო. უეფას დელეგატი **ტიერი ფავრი** კი "ფოლადისა" და "ლოკომოტივის" ინსპექტირებისთვის ხვალ, 11 ივლისს გვესტუმრება.

**მერაბ მამულაშვილი**

**ოლიმპის საევროპო განაცხადი:**

მეკარეები: მერლანი, ალავიძე, ხარშილაძე.

მცველები: მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, აკუსაგა, ნავალოვსკი, სილაგაძე.

ნახევარმცველები: კახელიშვილი, კოშკაძე, ხუბუა, გეწაძე, ჟივკოვიჩი, აფციაური.

თავდამსხმელები: დვალი, დვალიშვილი, ბოდრი ჯილდასი, ჯიქია.

ევრომეტოქე. უეფას თასი

# მცველსა და ფორვარდს ეძებენ

ახალი სეზონისა და ევროტურნირებისთვის მზადებას განაგრძობს თბილისის "დინამოს" მეტოქე, ლიხტენშტაინის "ვადუცი". **ჰაინც ჰერმანის** გუნდს, რომელშიც არაერთი ლეგიონერია, კიდევ ერთი დაემატა - 26 ბრაზილიელი მცველი **ალეშანდრე და სილვა ალვეში.** ლიხტენშტაინელებმა მასთან უკვე გააფორმეს კონტრაქტი.

ამასთან "ვადუცმა", რომელიც შვეიცარიის ჩელენჯ (მეორე) ლიგაში ასპარეზობს, შვეიცარიულ "ვილთან" ამხანაგური მატჩი გამართა და 34-ე წუთზე გაშვებული გოლით, 0:1 დამარცხდა. ამ შეხვედრაში "ვადუცმა" შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

**ზომერი (46. ვიუტრიხი), რიტცბერგერი, ალასტრა, ძომბიჩი, ჰესლერი (46. რაინმანი), ლანგლეტი (54. რორერი), ალეშანდრე (46 სუტერი), მაგეტი (63. აკდემირი), შტურმი, პოლვერინო (63. გასპარი), გროსკლაუსი.**

*"ჩვენ ახალი სეზონისა და ევროტურნირებისთვის მთელი მონდომებით ვემზადებით. ამ შეხვედრაში ჩვენი გუნდი აშკაად გადაღლილი ჩანდა. მართალია, არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და წავაგეთ. ვფიქრობ, მეტი შეგვიძლია და ეს არ იყო ჩვენი გუნდის რეალური ძალა...*

*"შაფჰაუზენის" მცველი* **მონტადორი** *შესაძლოა, მალე შემოგვიერთდეს. ერთი რამ კი ფაქტია, ცენტრალური მცველი და ერთი კარგი ფორვარდი გვჭირდება"*, - "ვილისთან" მატჩის შემდეგ აღნიშნა "ვადუცის" მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ჰერმანმა.

**დავით ცაბაძე**

# მარცვალაძე არსენალში

გუშინდელი ნომრიდან მექანიკური შეცდომის გამო, მკითხველმა არასწორი ინფორმაცია მიიღო. უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" საქართველოს ნაკრებისა და კიევის "დინამოს" თავდამსხმელმა **ოთარ მარცვალაძემ** თქვა, რომ გუნდში ვარჯიშის მიუხედავად, ჯერ საბოლოოდ არ იცოდა, ჩაირიცხებოდა თუ არა კიევის "არსენალში".

ოთარს დავუკავშირდით და აღმოჩნდა, რომ საკითხი, ფაქტობრივად, მოგვარებულია: *"შემიძლია უკვე ვთქვა, რომ დეკემბრამდე კიევის "არსენალში" ვითამაშებ, რადგან გუნდები არენდაზე შეთანხმდნენ."*

როგორც იქნა, ოთარმა საგოლე ალღო გამოავლინა და კვირას საკონტროლო შეხვედრაში დუბლი გაიფორმა: *"ორი ბურთი გავიტანე და ვგრძნობ, რომ შემიძლია კიდევ უფრო მეტი სარგებლობის მოტანა. ჩემთვის მთავარი იყო, ეს უიღბლო პერიოდი დამეძლია და იმედია, ახლა გოლების გატანა აღარ გამიჭირდება"*.



ოთარ მარცვალაძე

რაც შეეხება კიევის "დინამოს" კიდევ ერთ ქართველ ფეხბურთელს, **დავით იმედაშვილს**, "სპორტ-ექსპრესის" ინფორმაციით, გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელის ბედი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# გელაშვილი ბელგიაში ჯერ ვერ გაფორმდა

## კონტრაქტი ბრიუგესთან, განათხოვრებით რუზელარეში?



ნიკა გელაშვილი (უკანა პლანზე)

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე **ნიკა გელაშვილი** "ბრიუგეში" ვარჯიშობს. მან ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა - პირველად "ეერნეგემთან", მეორედ კი "კვვ კოქსუდესთან". პირველში ის ფორვარდი იყო, მეორედ კი მარჯვენა ნახევარმცველად დააყენეს, გოლი არც ერთთან არ გაუტანია. ორივე მატჩში ნიკამ ძირითად შემადგენლობაში ჩაატარა და მეორე ტაიმში შეცვალეს.

გუშინ ისიც კი გვითხრეს, თითქოს 22 წლის თავდამსხმელმა პოპულარულ ბელგიურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა და დეკემბრამდე გაანათხოვრებენო. ინფორმაცია გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედი არის, მაგრამ ჯერ ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ასეთ შემთხვევაში, გელაშვილს მართლა გაანათხოვრებენ "რუზელარეში", რომელმაც გასული სეზონი მეთერთმეტე ადგილზე დაასრულა.

ეს კლუბისა და მოთამაშის წინასწარი შეთანხმებაა, რადგან გელაშვილის სათადარიგოებში მოხვედრა გამორიცხონ. გუნდიდან წასვლა ორ ფეხბურთელს სურდა, მაგრამ ვერ გაყიდეს. "ბრიუგეს" ისინი დეკემბერში დატოვებენ. "რუზელარესთან" ერთად, ნიკას განათხოვრება შესაძლებელი იყო ბეერსხოტის "ჟერმინალშიც", თუმცა "ბრიუგე" "რუზელარესკენ" იხრება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ასათიანმა ავსტრიაში ითამაშა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის "ლოკომოტივმა" საკონტროლო მატჩი გამართა ქვედალიგელ "ინტერბლოკთან". როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა რკინიგზელთა უპირატესობით წარიმართა და მათი დამაჯერებელი გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. გოლები **ტრაორემ, ფინინიომ** და **კონცედალოვმა** გაიტანეს. პირველ ტაიმის შემდეგ, "ლოკომოტივის" თავკაცმა **ანატოლი ბიშოვეცმა** ნახევარი გუნდი შეცვალა, **მალხაზ ასათიანმა** კი მოედანზე 90 წუთი დაყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სომხეთში ქართველთა რიცხვი იზრდება

ქართველი ლეგიონერები სომხეთშიც თამაშობენ, სადაც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი საფეხბურთო ჩემპიონატია. სომხურ უმაღლეს ლიგაში სულ 8 კლუბია, აქედან ექვსი ერევნისაა. ქართველები მხოლოდ აუტსაიდერ კლუბებში ირიცხებიან, მეექვსე ადგილზე მყოფ კაპანის "განძასარში" (16 ქულა) და მეშვიდეზე მყოფ ერევნის "ულისში" (5 ქულა). ბოლო ტურში "განძასარი" მესამეადგილოსან "ბანანცს" ესტუმრა და 3:2 მოუგო. მატჩში ანგარიში სტუმართა ნახევარმცველმა **გაგა თბილაშვილმა** გახსნა 50-ე წუთზე. თბილაშვილი კაპანელთა ერთადერთი ლეგიონერია. ივნისის მეორე ნახევარში "ულისში" ქართველი **შოთა ჩომახიძე** და **თენგიზ უგრეხელიძე** გადავიდნენ, მათ იქ **გიორგი ხუციშვილი** და **გიორგი სულაბერიძე** დახვდნენ. სომეხთა პირველობას 28 ქულით "პიუნიკი" ლიდერობს, "არარატი" მას მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

# შახტიორი ქართველებს უშვებს და იღებს

ყაზახეთის სუპერლიგაში პირველი წრე დასრულდა. ყიზილორდის "კაისარი" დებიუტანტია, თუმცა კლუბი ურიგოდ არ გამოიყურება და 15 თამაშიდან 24 ქულით მეშვიდე ადგილზეა. დებიუტანტის ღირსებას ვეტერანი **გიორგი გოგიაშვილი** იცავს, სწორედ გოგიაშვილმა "ატირაუსთან" მატჩის 67-ე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმცა მატჩის მიწურულს მასპინძლებმა გოლი გაუშვეს და ქულით დაკმაყოფილდნენ. გიორგიმ გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. მოულოდნელად დიდი ანგარიშით დამარცხდა ყარაღანდის "შახტიორი", რომელიც ჩემპიონსა და რუსთავის "ოლიმპის" მომავალ მეტოქე "ასტანას" ესტუმრა. მეექვსე წუთიდან სტუმრები გაძევებული კაპიტნის, **კორნიენკოს** გარეშე თამაშობდნენ. **გიორგი გაპიდაურმა** 23-ე წუთზე შეცვალა **კოსტიუკი**, **ლევან მელქაძე** კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა. **ზვიად ჯელაძისა** და **გიგა ჟვანიას** "ვოსტოკმა" შინ 1:0 დაამარცხა "კაირატი", ხოლო **ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცმა" "ალმაატას" იმავე ანგარიშით მოუგო. "შახტიორი" 32 ქულით მეორე ადგილზეა, "ვოსტოკი" 20 ქულით მეათეა, ხოლო "ეკიბასტუზეცი" 19 ქულით - მეთერთმეტე.

ყაზახეთში წრე დასრულდა და ახლა ცვლილებების ხანა დაიწყო. ყარაღანდის "შახტიორი" ჯერ ისვენებს, თუმცა მალე კლუბს რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს, სამაგიეროდ კი კლუბი შევსებასაც მიიღებს. ორი ჩეხი ლეგიონერი უკვე ყაზახეთშია, ყარაღანდაში ელიან ორ ქართველსაც (გვარებს არ აკონკრეტებენ), "ასტანაში" ასხვისებენ გიორგი გაბიდაურს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა კორპუსი სამძიმარს უცხადებენ ეროვნული კატეგორიის მსაჯს, კობა გაბრიაძეს დის გარდაცვალების გამო**

თბილისის ფედერაციის არჩევნები

# ბეგაშვილს ალტერნატივა არ ჰყავს

დღეს, 12 საათზე ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის არჩევნები გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამ პოსტზე **ნუკრი კაკილაშვილი** მუშაობდა, მაგრამ მისი მმართველობის ვადა ამოიწურა. ვაკანსიის შესავსებად არჩევნები დღეისათვის დაინიშნა.

ზოგიერთთა მტკიცებით, კაკილაშვილს კვლავაც სურდა არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ ბოლო მომენტში ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავა.

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პირველკაცის არჩევნებისთვის მხოლოდ ერთადერთი კანდიდატურაა რეგისტრირებული. ეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **ზაზა ბეგაშვილი** გახლავთ.

რაც შეეხება არჩევნების პროცედურას: არჩევნებში ხმის უფლების მქონე სულ 27 სუბიექტია. საიმისოდ, რომ ბეგაშვილი თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი არჩევნების პირველივე ტურში გახდეს, მან 50%+1, ანუ 14 ხმა უნდა მიიღოს.

ხმის უფლების მქონე 27 სუბიექტიდან უკვე 25-ია რეგისტრირებული. ესენი არიან: **"მერანი", "სპარტაკი", 35-ე საფეხბურთო სკოლა, "ავაზა", თენგიზ სულაქველიძის სახელობის საერთაშორისო აკადემია, "ამერი", "ამირანი", "მაუდი", "ვიტ ჯორჯია", "ლოკომოტივი", "საბურთალო", "ოლიმპიკი", "მთვარის გლობუსი, "ნორჩი დინამოელი", "შევარდენი", "ზოოვეტი", "იმედი", "სპორტ ლიდერი", "დიდი დიღომი", "ოლიმპი", "დინამო", "იბერია", მსაჯთა ასოციაცია, "მიმინო" და "პირამიდა".**

დარჩენილ ორ სუბიექტს, "ირაოსა" და "21-ე საუკუნეს" კი რეგისტრაცია არ გაუვლიათ.

ზაზა ბეგაშვილი ამ არჩევნებში უალტერნატივოა და როგორც ჩანს, დღეს, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მმართველიც გახდება.

**დავით ცაბაძე**

# გიგიაძის უცნაური ფინტი

## კრივბასიდან ახტირკის ნეფტიანიკში!



ვასილ გიგიაძე

სენსაციური ინფორმაცია თუ გნებავთ, ესაა: გაზეთ "კომანდას" მიერ უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული **ვასილ გიგიაძე** კარიერას ახტირკის "ნეფტიანიკში" გააგრძელებს. იყო "ზარიის", სიმფეროპოლის "ტავრიის", კიევის "არსენალის" წინადადებები, მაგრამ კრივოი როგის "კრივბასმა" მეტისმეტად დიდი თანხა მოითხოვა კაპიტანში და როცა მოლაპარაკებებიდან არაფერი გამოვიდა, გიგიაძემ საკითხი კატეგორიულად დააყენა: **ოლეგ ტარანთან** მე ვერ ვიმუშავებო!

ქართველი ლეგიონერის პოზიცია გასაგებია: "კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა მას შეგნებულად არ მისცა თავის გამოჩენის შანსი, როცა ოთხ შეხვედრაში არ ათამაშა, და ეს იმ დროს, უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირობის რეალური შანსი რომ ჰქონდა. ამიტომაც გადაწყვიტა გიგიაძემ გუნდიდან წასვლა. ის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ ახტირკის "ნეფტიანიკის" წინადადებას დათანხმდა და 6-თვიანი საარენდო ხელშეკრულებაც გაფორმდა. მეტიც, ვასილმა "ნეფტიანიკის" შემადგენლობაში უკვე საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა. ახტირკელები დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან" 0:3 დამარცხდნენ, გიგიაძე კი 83-ე წუთზე შეცვალეს.

**მერაბ მამულაშვილი**

U21. ჩვენი მეტოქეები მსოფლიო ჩემპიონატზე

# ესპანეთი და პოლონეთი ყოჩაღობენ

5 ივნისს ესპანეთთან ჩატარებული მატჩით ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა 21-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი დაიწყო. ჯგუფში კი ესპანელთა გარდა ჩვენი მეტოქეები პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი არიან.

კანადაში მიმდინარე 20-წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ჯგუფის მეტოქეები, ესპანეთი და პოლონეთი ასპარეზობენ. ცხადია, ესპანელები და პოლონელები კანადაში წაყვანილ კონტინგენტს 21-წლამდელთა შესარჩევ ციკლში თითქმის მთლიანად გამოიყენებენ.

ამ გუნდებმა კანადაში ჯგუფურ ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს და მომდევნო რაუნდშიც გავიდნენ. მოდით, მათზე ცალცალკე ვთქვათ და ჯერ ფავორიტი ესპანეთი ვნახოთ.

ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ადანი (რეალი), ანხელ ბერნაბე (ატლეტიკო), ხავი მარტინესი (ალბასეტე).

**მცველები:** ანტონიო ბარახანი (ლივერპული, ინგლისი), ხოსე კრესპო (სევილია), მარკ ვალიენტე (ბარსელონა), ხერარდ პიკე (სარაგოსა), რობერტო კანელა (გიხონი), ხორკა ელუსტანდო (სოსიედადი).

**ნახევარმცველები:** მარიო სუარესი (ატლეტიკო), ტონი კალვო (ბარსელონა), ხავი გარსია, ესტებან გრანერო, ადრიან გონსალესი (ყველა რეალი), ირიომ გონსალესი (ტენერიფე), ადრიან ლოპესი (დეპორტივო), მარკოს გარსია (ვილიარეალი), სანი სტეფენი (ეხიდო).

**თავდამსხმელები:** ალბერტო ბუენო, ხუან მანუელ მატა (რეალი), დიეგო კაპელი (სევილია).

თუ კარგად დააკვირდებით, ისეთ ფეხბურთელს აღმოაჩენთ ამ განაცხადში, რომლებმაც თბილისში, 5 ივნისს, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან გამარჯვებაში (0:1) საკუთარი წვლილი შეიტანეს.

ესპანელები ჯგუფში **ადრიან ლოპესისა** და **დიეგო კაპელის** გოლებით ურუგვაისთან 2:2 ფრეს დასჯერდნენ. მერე **მარიო სუარესისა** და **ხუან მანუელ მატას** ბურთებით გამბიას სძლიეს (2:1). ბოლოს კი იორდანია **მარკოს გარსიას** ერთი გოლითა და **ადრიან ლოპესის** ჰეთ-თრიქით ერთი 4:2 დაამარცხეს და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. რაღა თქმა უნდა, ესპანელები მომდევნო რაუნდში გავიდნენ და 11 ივლისს ბრაზილიას ეთამაშებიან. სხვათა შორის, ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვის მიხედვით არგენტინის, აშშ-ის, ბრაზილიისა და ნიგერიის შემდეგ სწორედ ესპანეთს უწინასწარმეტყველებენ ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის მსოფლიო ჩემპიონობას. შეგახსენებთ, რომ ჩვენს 21-წლამდელებს ესპანეთთან სტუმრად, წელს 11 სექტემბერს უწევთ თამაში.

რაც შეეხება პოლონეთს, **მიხალ გლობიშის** გუნდის შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები:** ბარტოშ ბიალკოვსკი (საუთჰემპტონი, ინგლისი), პრჟემისლავ ტიტონი (ლეჩნა), ვოიცეხ ჟჩეშნი (არსენალი, ინგლისი).

**მცველები:** ბენ სტაროსტა (შეფილდ იუნ. ინგლისი), იაროსლავ ვოჟუტი (ბოლტონი, ინგლისი), კჟიჟტოფ შტრუგარეკი (ლკს ლომჟა), ადამ დანჩი (ზაბრჟე), ადრიან მარეკი (ზაგლებიე), დამიან რაჟშკა (მიონხენგლადბახი, გერმანია), იაკუბ შჟალეკი (პოლისი), მაცეი დაბროვსკი (ვიქტორია კორონოვო), გრეგორ კრიჩოვიაკი (ბორდო, საფრანგეთი).

**ნახევარმცველები:** არტურ მარჩიანიკი (გკს-ბელხატოვი), იაკუბ ფეტერი (ბალუში), მარიუშ საჩა (პოდბესკიე), ტომაშ გივკა (უიგანი, ინგლისი).

**თავდამსხმელები:** კშიშტოფ კროლი (რეალი), პატრიკ მალეცკი (ვისლა კრაკოვი), ლუკაშ იანოშკა (რუხი ხოჟუვი), დავიდ იანჩიკი (ლეგია), პაველ ადამიეცი (ზდროი).

მცველებით გაძეძგილმა პოლონელთა გუნდმა კანადაში ასპარეზობა სენსაციური სტარტით დაიწყო. გლობიჩის გუნდმა **კრიჩოვიაკის** კინკილა გოლით ბრაზილია დაამარცხა, მერე კი **იანჩიკის** გატანილმა ვერ უშველა - აშშ-სთან 1:6 გაცამტვერდა. ბოლო ტურში ისევ იანჩიკმა იმარჯვა და სამხრეთ კორეასთან მიღწეული ფრის (1:1) წყალობით, პოლონეთი ჯგუფში მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

პოლონელებმა, რომელთაც ჯგუფში ბრაზილიას ქულით გაუსწრეს, მომდევნო რაუნდში გავიდნენ და 12 ივლისს, ტორონტოში არგენტინას ეთამაშებიან. შეგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენს 21-წლამდელებს უახლოესი მატჩი სწრედ პოლონეთში ელით 22 აგვისტოს. მიხალ გლობიშის გუნდს შინ, დასკვნით ტურში, გაისად 10 სექტემბერს ვეთამაშებით.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. ახალი მწვრთნელი

# შუსტერი დაინიშნა

## დაბრუნება 17 წლის შემდეგ: ბენდისთვის სანტიაგო ბერნაბეუ უცხო არ არის; ფაბრეგასს კი მადრიდში წასვლა მოუნდა...




ალფრედო დი სტეფანო, ბერნდ შუსტერი და რამონ კალდერონი

**ბერნდ შუსტერი** "რეალის" მთავარი მწვრთნელია. 47 წლის გერმანელი, რომელმაც ბოლო ორი სეზონი "ხეტაფეში" გაატარა, **ფაბიო კაპელოს** ადგილს დაიკავებს. ეს უკანასკნელი, სეზონის დასრულებისთანავე დაითხოვეს. იტალიელი მწვრთნელი უმძიმესი სეზონის საჩემპიონო ტიტულით დასრულებამაც კი ვერ გადაარჩინა. შეგახსენებთ, ეს გახლდათ სამეფო კლუბის პირველი ტიტული 2003 წლის შემდეგ.

*"დღევანდელი დღე ყველაზე შთამბეჭდავია ჩემს ცხოვრებაში. მადლობა "რეალს", რომელმაც ამხელა ნდობა გამომიცხადა. მადრიდი ჩემთვის უცხო არ არის. მე აქ ორი წელიწადი ვითამაშე (1988-90). ვიცი, რომ პირველ ვარჯიშზე ისეთივე მღელვარება ამიტანს, როგორიც მაშინ, ფეხბურთელობისას, "რეალში" რომ გადმოვედი. მწვრთნელის რანგშიც ბევრი ჯილდოს მოპოვებას ვაპირებ,"* - თქვა ბერნდმა.

შუსტერი მადრიდელთა მერვე დამრიგებელია ბოლო ოთხ წელიწადში. მას მინიმუმ კაპელოს შედეგის გამეორება მართებს, თუ სამსახურის შენარჩუნება უნდა. მაგრამ ამავე დროს სანახაობრივ ფეხბურთზეც უნდა იზრუნოს. გულშემატკივარს შთამბეჭდავად მოთამაშე სამეფო კლუბის ნახვა მოენატრა. რა დაუჯდა "რეალს" გერმანელის დანიშვნა. მადრიდელები ამ ინფორმაციას ოფიციალურ პრეზენტაციამდე არ გაამხელენ. მიმომხილველები კი ამბობენ, რომ შუსტერმა საკუთარი თავი თვითონვე გამოისყიდა და ამ სიამოვნებისთვის 480 ათასი ევრო გადაიხადა.

შუსტერის "ხეტაფემ" ბოლო ორ სეზონში პრიმერა დივიზიონი მეცხრე ადგილზე დაასრულა. გუნდის მასშტაბის გათვალისწინებით, ეს დიდი მიღწევაა. უფრო დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ხეტაფელთა თასის ფინალში გასვლა, სადაც სევილიასთან მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. სამაგიეროდ, ნახევარფინალში გამოაცხვეს ნამდვილი სენსაცია: სტუმრად 2:5 წაგების შემდეგ, შინ "ბარსელონას" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს.

ცოტა რამ შუსტერის შესახებ. ის 1959 წლის 22 აგვისტოს აუგსბურგში დაიბადა. კარიერის ზენიტში ყოფნისას ბერნდი და მისი მეუღლე **გაბი** ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ. ბერნდი იმიტომ, რომ 1980-იანი წლების გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა და ამავე დროს, სკანდალური ფიგურა გახლდათ. გაბი კი იმიტომ, რომ თავისი მეუღლის აგენტი იყო. როგორც ამბობდნენ, შუსტერი ცოლის უკითხავად ნაბიჯსაც კი არასოდეს დგამდა. ისინი დღესაც ერთად ცხოვრობენ და ოთხი შვილი ჰყავთ. გაბი ცნობილი მენეჯერია, თუმცა რამდენიმე წელიწადია, ბერნდის საქმეებს აღარ უძღვება.

1980 წელს შუსტერი "ბარსელონაში" ჩაირიცხა. მან ამ კლუბში რვა სეზონი გაატარა (1980-88) და 170 მატჩში 63 გოლი შეაგდო. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელებს **დიეგო მარადონა, ალან სიმონსენი** და **გარი ლინეკერიც** ჰყავდათ, ბერნდი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი იყო. 1981 და 1985 წლებში ის ორჯერ დაასახელეს ევროპის მეორე საუკეთესო ფეხბურთელად. "ბარსელონაში" ყოფნისას მას მუდმივად პრობლემები ჰქონდა მთავარ მწვრთნელებთან **ელენიო ერერასთან, უდო ლატეკთან, ტერი ვენეიბლზსა** და **ლუის არაგონესთან**. 1988 წელს მან მორიგი სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო და მადრიდის "რეალს" მიაშურა (62 მატჩი, 13 გოლი).

ორი წლის შემდეგ ის "ატლეტიკოში" ჩაირიცხა, 1993 წელს - ლევერკუზენის "ბაიერში". კარიერის ბოლო სეზონი მექსიკურ უნამში გაატარა. გერმანიის ნაკრებში (1980-84) მხოლოდ 21 მატჩი ჩაატარა და 4 გოლი შეაგდო. ეს იმიტომ, რომ ეროვნულ გუნდს შეუფერებელ ასაკში, 24 წლისა გამოეთხოვა. მიზეზად გერმანიის საფეხბურთო კავშირსა და ნაკრების თავკაც **იუპ დერვალთან** უთანხმოება დაასახელა. მას კონფლიქტი ჰქონდა ბუნდესგუნდის ვარსკლავ **პაულ ბრაიტნერთანაც**. ამ ოთხ წელიწადში შუსტერმა ევროპის ჩემპიონობა (1980) მოასწრო.

1993-94 წლების სეზონში, როცა ხანგრძლივი განწორების შემდეგ ის ბუნდესლიგაში დაბრუნდა, "ლევერკუზენის" მაისურით იმდენად შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა, რომ გულშემატკივრებმა მისი ნაკრებში შეყვანა და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა მოითხოვეს. საინტერესო დეტალი: ტელეკომპანია ARD-მ სეზონის საუკეთესო გოლების გამოვლენისას პირველი სამი ადგილი შუსტერს მიაკუთვნა. ბუნდესმწვრთნელმა **ბერტი ფოგტსმა** 35 წლის ვეტერანის გამოძახება ზედმეტად მიიჩნია.

შუსტერის სამწვრთნელო კარიერა ძირითადად მეორეხარისხოვან კლუბებს მოიცავს. "კიოლნი", "ფორტუნა კიოლნი" (მეორე ბუნდესლიგა), "ხერესი" (სეგუნდა დივიზიონი), "შახტარი" (უკრაინა), "ლევანტე" და "ხეტაფე" (პრიმერა დივიზიონი). და აი, მადრიდის "რეალის" ჯერიც დადგა. სამეფო კლუბის დირექტორატმა სარისკო ნაბიჯი გადადგა. ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს ის.

გუშინვე მადრიდელთა პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** აღიარა, რომ შუსტერის გამო სერიოზული უთანხმოება ჰქონდა სპორტულ დირექტორ **პრედრაგ მიატოვიჩთან**. სერბ ჩინოვნიკს უფრო გამოცდილი სპეციალისტის მიწვევა სურდა. *"მიატოვიჩი კუმანზე, ვენგერსა და ლაუდრუპს მირჩევდა,* - თქვა კალდერონმა , - *მაგრამ ხანგრძლივი მსჯელობისა და კამათის შემდეგ, ვფიქრობ, დავარწმუნე, რომ ბერნდი საუკეთესო კანდიდატია."* პრეზიდენტმა კაპელოს შესახებაც გააკეთა კომენტარი: *"როცა მას უკანასკნელად შევხვდი, ვკითხე, სურდა თუ არა "რეალში" დარჩენა. მან დადებითად მიპასუხა, თუმცა დარწმუნებული ვარ, მისი პასუხი გულწრფელი არ იყო."*

აქვე, ერთი მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ: **სესკ ფაბრეგასი** "არსენალს" "რეალთან" მოლაპარაკებების გამართვას მოსთხოვს. ნახევარმცველმა იცის, რომ მადრიდელებს მისი შეძენა სურთ. "მარკაში" ვკითხულობთ, რომ სამეფო კლუბს ექვსწლიანი კონტრაქტი აქვს გამზადებული. შეთანხმების შემთხვევაში, ფაბრეგასი ესპანეთის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდება. იმავე გამოცემის მტკიცებით, "რეალი" მზადაა, მეთოფეებს 25 მილიონი ევრო შესთავაზოს. შესაძლოა, ამ თანხას დაემატოს კიდევ ერთი ფეხბურთელი, მაგალითად, **ჟულიო ბაპტიშტა**, რომელმაც გასული სეზონი იჯარით ლონდონში გაატარა. **არსენ ვენგერს** მისი გამოსყიდვა სურდა, მაგრამ ლონდონურ გრანდს ფეხბურთელის ტრანსფერისთვის საჭირო 8 მილიონი გირვანქა არ აღმოაჩნდა. თუ ყველაფერი ამ სცენარით განვითარდება, ფაბრეგასის ტრანსფერის ღირებულება 33 მილიონ ევროს მიაღწევს.

### მოლოდინისამებრ, შუსტერი ლაუდრუპმა შეცვალა

დასასრულს, ინფორმაცია, რომელიც "რეალს" არა, მაგრამ **ბერნდ შუსტერის** მადრიდში გადასვლას კი უკავშირდება. "ხეტაფეში" მის ადგილას **მიხაელ ლაუდრუპი** დაინიშნა. ეს დანიშვნაც მოსალოდნელი იყო. ხეტაფელები დანიელ სპეციალისტს რამენიმე დღის წინათ მოურიგდნენ და შუსტერის აზარგებასლა ელოდნენ. როგორც კი გამოცხადდა ბერნდის "რეალში" დანიშვნის ამბავი, ლაუდრუპი მაშინვე "ხეტაფეს" მწვრთნელი გახდა. 43 წლის მიხაელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი სამწვრთნელო გამოცდილება მოკრძალებულია. 2000-02 წლებში ის დანიის ნაკრებში **მორტენ ოლსენის** თანაშემწე გახლდათ. 2002 წელს ბრონდბიუში დაინიშნა და გუნდს ერთხელ დანიის ჩემპიონობა და ორჯერ დანიის თასი მოაპოვებინა.

ლაუდრუპს სხვადასხვა დროს "იუვენტუსში", "ბარსელონაში", "რეალსა" და "აიაქსში" უთამაშია. კატალონიაში ყოფნისას ის ზედიზედ ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი და 1992 წელს ჩემპიონთა თასსაც დაეუფლა. 1994 წელს მან "რეალს" მიაშურა და იმავე სეზონში ისევ ჩემპიონი გახდა.



კოპა ამერიკა 2007. 1/4 ფინალი

# დიდი გასეირნება

## 10 გოლი ორ მატჩში: მექსიკა და არგენტინა უშელავათო თამაშს გვპირდებიან...



ხუან რომან რიკელმე პერუელთა კარში გატანილ დუბლს ზეიმობს

**მექსიკა-პარაგვაი 6:0**

**მექსიკა**: ოსვალდო სანჩესი, კასტრო, მაგალონი, მარკესი, პინტო, კორეა, გუარდადო, ტორადო, არსე (81. ბლანკო), კაჩო (65. ომარ ბრავო), ნერი კასტილიო (54. ბაუტისტა).

**პარაგვაი**: ბობადილია, კასერესი, პაულო და სილვა, კლაუდიო როდრიგესი, დარიო ვერონი (46. ვერა), ბარეტო, ბონეტი, რივეროსი, სანტანა (5. საიასი), კარდოსო (68. კაბანიასი), სანტა კრუსი.

**გოლები**: 1:0 ნერი კასტილიო (6-პენ), 2:0 ხერარდო ტორადო (27), 3:0 ნერი კასტილიო (39), 4:0 არსე (79), 5:0 ბლანკო (86-პენ), 6:0 ომარ ბრავო (90)

**გაძევება**: ბობადილია (3. პარაგვაი)

**გაფრთხილება**: 1-1; **დარტყმა**: 7(5)-11(4); **ჯარიმა**: 7-6; **კუთხური**: 2-4; **თამაშგარე**: 2-1.

**არგენტინა-პერუ 4:0**

**არგენტინა**: აბონდანსიერი, აიალა, ჰაინცე, გაბრიელ მილიტო, ძანეტი, კამბიასო (84. აიმარი), მასკერანო, რიკელმე, ხუან ვერონი (71. გაგო), მესი, დიეგო მილიტო (46. ტევესი).

**პერუ**: ბუტრონი, აკასიეტე, გალიკიო, ვილჩესი, ვილიალტა, ვილიამარინი (64. სუნიგა), ბასალარი, დე ლა ასა, მარინიო (74. მენდოსა), პაულო გერერო (55. პ.გარსია), პისარო.

**გოლები**: 1:0 რიკელმე (47), 2:0 მესი (61), 3:0 მასკერანო (75), 4:0 რიკელმე (86).

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 6(2)-2(0); **ჯარიმა**: 9-18; **კუთხური**: 1-1; **თამაშგარე**: 1-2.

**ხუან რომან რიკელმემ** ორი გოლი და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. არგენტინელებმა პერუს ოთხი უპასუხო გოლი უძღვნეს და ნახევარფინალში გავიდნენ. პერუელებმა მრისხანე მეტოქეს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს წინააღმდეგობა. შესვენების შემდეგ ორ წუთში რიკელმემ საუცხოო გოლით გახსნა ანგარიში. შემდეგ არანაკლებ ეფექტური პასით **ლეო მესის** გაატანინა. დარჩენილ დროში **ხავიერ მასკერანომ** და იმავე რიკელმემ კიდევ ორი გოლი შეაგდეს და მეტოქეს საბოლოოდ მოუთავეს ხელი.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მატჩის პირველი სახიფათო მომენტი არგენტინელთა კართან შეიქმნა. **გაბრიელ ჰაინცემ** მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან დაკარგა. **პაულო გერერომ** შეუჩერებლად დასცხო, მაგრამ კარს ზემოდან გადააცილა.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც არგენტინელ მცველებს მოსვენებას არ აძლევდა, გერერო იყო. **რობერტო ფაბიან აიალა** არბიტრ **კარლოს სიმონის** უნდა უმადლოდეს, რომ წითელი ბარათი არ მიიღო. ერთ ეპიზოდში პერუელმა თავდამსხმელმა მას პოზიციური ბრძოლა მოუგო, მეურვეს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ გასვლა დააპირა, მაგრამ ვალენსიელმა მაისურზე მოქაჩა და შეაჩერა. ეს ბოლო იმედის ჯარიმას ჰგავდა, თუმცა მსაჯმა მომენტი სხვაგვარად შეაფასა. პირველ ნახევარში მესის ორი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ჯერ ძელი შეაზანზარა, შემდეგ კი პერუელმა მცველმა **ედგარ ვილიამარინმა** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შესვენებისას **ალფიო ბასილემ** თავდასხმა გააძლიერა. მან ინერტულად მოთამაშე **დიეგო მილიტოს** ნაცვლად **კარლოს ტევესი** გამოიყვანა. სანამ ტევესი ტემპის აკრეფვას მოასწრებდა, რიკელმემ მეტოქე დაამწუხრა. მან საჯარიმოს კიდესთან მიიღო ბურთი, გაასწორა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. რამდენიმე წუთში ხუან რომანის თავური ხარიხას მოხვდა. ცოტა ხანში რიკელმემ უზუსტესი გადაცემით მეტოქის საჯარიმოში მესი მოძებნა. ამ უკანასკნელმა იოლად მოატყუა **ბუტრონი** და წლევანდელ კოპა ამერიკაზე პირველი გოლი გაიტანა. ბოლო ორ თამაშში მეორედ გამოიჩინა თავი მასკერანომ. მან დამატებაზე ითამაშა და 75-ე წუთზე სხვაობა სამ ბურთამდე აიყვანა. 86-ე წუთზე არგენტინელებმა კლასიკური კონტრშეტევა გაითამაშეს. იერიში მეკარე აბონდანსიერიმ წამოიწყო. მან ფლანგზე ტევესი მოძებნა. ტევესმა მეურვე ჩამოიცილა და ბურთი რიკელმეს გაუგორა. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო, 4:0. 1/2 ფინალში არგენტინელები მექსიკას შეხვდებიან, იმ მექსიკას, რომელმაც კვირას პარაგვაის შავი დღე გაუთენა.

რიკელმეს მსგავსად, დუბლი მიითვალა მექსიკელმა თავდამსხმელმა **ნერი კასტილიომ**. პარაგვაელები 1980 წლის შემდეგ ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. 27 წლის წინათ მათ ექვსი უპასუხო გოლი ბრაზილიამ უძღვნა. პარაგვაის დასაწყისშივე არ გაუმართლა. მეოთხე წუთზე კასტილიო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. მეკარე **ალდო ბობადილიამ** მას ფეხი გამოსდო და ბოლო იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათი დაიმსახურა. ბობადილია ძირითადი მეკარე არ არის. ის დაშავებული **ხუსტო ვილიარის** ნაცვლად თამაშობდა. პარაგვაი ის იშვიათი ნაკრები იყო, რომელმაც ტურნირზე სამი მეკარე ჩაიყვანა. გუნდს მესამე გოლკიპერი კვირას დასჭირდა. **ხოელ საიასმა** ეროვნულ გუნდი სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. მისი დებიუტი სავალალო გამოდგა. კარში ჩადგომიდან რამდენიმე წამში მან პირველი გოლი გაუშვა: ნერი კასტილიომ მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გაიტანა. სხვა გოლების ჩამოთვლას აღარ შევუდგებით. მექსიკის ნაკრების თავკაცმა **უგო სანჩესმა** თქვა, რომ მისი შეგირდები საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულნი არიან. მიმდინარე გათამაშება მექსიკისთვის, შეიძლება, ისტორიულიც კი აღმოჩნდეს. სენიორ სანჩესი არ მალავს, რომ ტიტულის დაუფლებას აპირებს, თვით იმის მიუხედავად, რომ ნახევარფინალში მისი გუნდის მეტოქე არგენტინა იქნება.

**1/2 ფინალი**

**10 ივლისი. ურუგვაი-ბრაზილია**

**11 ივლისი. მექსიკა-არგენტინა**

ჩელსი

# მალუდა ლონდონშია

## აბრამოვიჩმა თავისი გაიტანა, პრესამ კი ლემპარდი საქვეყნოდ გამოაჭენა...




ფრენკ ლემპარდის მაკომპრომეტირებელი ფოტო

როგორც უკვე გაუწყეთ, **ფლორან მალუდა** "ჩელსიში" ჩაირიცხა. "არისტოკრატებმა" ეს ინფორმაცია ოფიციალური განცხადებით დაადასტურეს. ფრანგი ნახევარმცველი ახალ კლუბს ამერიკულ შეკრებაზე შეუერთდება. ამ შეკრებას **მიხაელ ბალაკი** გამოტოვებს. გერმანელი ვარსკვლავი კოჭის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის და ვარჯიშის გასაახლებლად მინიმუმ ერთი თვე სჭირდება.

დავუბრუნდეთ მალუდას ტრანსფერს. ფეხბურთელი ლონდონშია და დღეს სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ფორმალობების შემდეგ, ფლორანი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, "ლიონს" კი დაახლოებით 26 მილიონ ევროს გადაუხდიან. მალუდა საფრანგეთის ოთხგზის ჩემპიონია. გასულ სეზონში კი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მას ეროვნულ გუნდში 30 მატჩი აქვს ჩატარებული. ფლორანის ანგარიშზე სამი გოლია, მათ შორის, ერთი საქართველოს ნაკრების კარში გასული სექტემბრის თბილისური მატჩისას.

მალუდა ლონდონელთა მეოთხე ახალწვეულია. იქამდე **ჟოზე მოურინიომ** სამი თავისუფალი აგენტი დაიმატა: **სტივ სიდველი** ("რედინგიდან"), **კლაუდიო პისარო** ("ბაიერნიდან") და **ტალ ბენ ჰაიმი** ("ბოლტონიდან"). "ჩელსის" ტრანსფერები ამით არ დასრულდება. უახლოეს დღეებში "სტემფორდ ბრიჯს" მიაშურებს ბრაზილიელი მცველი **ალექსი**. ის ლონდონელთა საკუთრებაა, თუმცა გასული სეზონი იჯარით "ეინდჰოვენში გაატარა. "არისტოკრატების" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ამბობს, რომ მალუდას შეძენა სულაც არ მოასწავებს **არიენ რობენის** ლონდონური კარიერის დასასრულს. კენიონმა კიდევ ერთხელ გამოთქვა რწმენა, რომ **ფრენკ ლემპარდსა** და **ჯონ ტერის** მალე გაუფორმებენ ახალ კონტრაქტებს.

**რომან აბრამოვიჩმა** თავისას მიაღწია. მან კლუბის საფეხბურთო დირექტორად **ავრაამ გრანტი** დანიშნა. გასულ სეზონში გრანტის დანიშვნის მცველობას აბრამოვიჩსა და მოურინიოს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავება მოჰყვა. პორტუგალიელმა მწვრთნელმა პრეზიდენტის გადაწყვეტილება მის საქმეებში ჩარევად მიიჩნია და გადადგომაზე დაიწყო ფიქრი. ამჯერად მოურინიოს საერთოდ არ ჰქონია რეაქცია. ყოველ შემთხვევაში, ინგლისური ტაბლოიდები ამის შესახებ არაფერს წერენ.

და კიდევ ერთი ინფორმაცია "არისტოკრატების" ბანაკიდან. **ფრენკ ლემპარდი** მახეში გაება. გასულ უქმეებზე ის და მისი თანაგუნდელები - **შონ რაიტ-ფილიპსი, უეინ ბრიჯი** და **გლენ ჯონსონი** ლას ვეგასში გაემგზავრნენ. მეგობრები თავიანთი გოგონების (ცოლების) გარეშე იყვნენ. "ნიუს ოფ ზე უორლდმა" სენსაცია იყნოსა და კორესპონდენტსა და ფოტოგრაფს ლას ვეგასის ბილეთები დაუჯავშნა. ყველაფერი თითქოს წინასწარ დაწერილი სცენარით წარიმართა. ნევადაში ჩასვლის მეორე დღეს ლემპარდი უცნობ ლამაზმანთან ერთად გამოიჭირეს. ფრენკმა ქალბატონი ხუთვარსკვლავიანი "ვინ ოტელის" კაზინოში გაიცნო. შუა ღამის ორი საათისათვის ისინი ნომერში ავიდნენ. ორი საათში უკან, კაზინოში დაბრუნდნენ. ლემპარდი ქალბატონს ლოყაზე ეამბორა და დაემშვიდობა. მისი წასვლისთანავე უცნობ მანდილოსანთან "ნიუს ოფ ზე უორლდის" ჟურნალისტი მივიდა და აუწყა, რომ მამაკაცს, რომელთანაც ეს წუთია, ისიამტკბილა, ლონდონში მეგობარი გოგონა და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს. *"წარმოდგენა არ მქონდა, რომ ის ცოლშვილიანი იყო, არც ის ვიცოდი, რომ ის მდიდარი ფეხბურთელია,"* - თქვა დაბნეულმა ქალბატონმა.

"ნიუს ოფ ზე უორლდი" მკითხველს შეახსენებს, რომ ლემპარდის მეგობარმა გოგონამ **ელენმა** მეორე ქალიშვილი **ისლა** სულ რაღაც ორი თვის წინათ გააჩინა. ცხრა თვის წინათ კი "ჩელსის" ვიცე-კაპიტანი ერთხელ უკვე გამოიჭირეს უცნობ კატალონიელ ლამაზმანთან ცულლუტობისას. "ნიუს ოფ ზე უორლდის" არქივში ლემპარდის კიდევ ერთი სამარცხვინო ისტორია ინახება. 2000 წელს კვიპროსში ყოფნისას მან და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა სასტუმროს ნომერში ნამდვილი ორგია მოაწყვეს და ეს ყველაფერი ვიდეოკამერაზე გადაიღეს. ვერ გეტყვით, როგორ, მაგრამ რამდენიმე დღეში ეს ჩანაწერი პოპულარულ ტაბლოიდს ჩაუვარდა ხელში და, რა თქმა უნდა, უმალ გაზეთის გვერდებზე გამოქვეყნდა. ფრენკი იძულებული გახდა, მომხდარის გამო საჯაროდ მოეხადა ბოდიში. მას ელენთან ალბათ კიდევ ერთხელ მოუწევს თავის მართლება.



შალკეს პრეზიდენტი იოზეფ შნუზენბერგი

შალკე

# პრეზიდენტი განრისხდა

## შნუზენბერგმა კურანი თავის ადგილას მოსვა, ჰამითი და ლინკოლნი კი მაგრად გალანძღა...

დაბრუნდა თუ არა **კევინ კურანი** შვებულებიდან, მაშინვე ისეთი განცხადება გააკეთა, რომ სერიოზულ სკანდალს დაუდო სათავე. 25 წლის თავდამსხმელმა „შალკეს" გენერალური მენეჯერის, **ანდრეას მიულერის** მიერ გატარებული სატრანსფერო პოლიტიკა მედგრად გააკრიტიკა. კევინმა პირდაპირ თქვა, **ჰამით ალთინთოფისა** და **ლინკოლნის** სახით უძლიერესი ფეხბურთელები დავკარგეთ და მათი დარი არავინ გვიყიდიაო. *„თუ ერთ-ორ უმაღლესი კლასის ფეხბურთელს არ შევიძენთ, მომავალი სეზონი ჩვენთვის ურთულესი იქნება!"* – ამბობდა კურანი.

მენეჯერმა კევინს ძალიან მალე გასცა საკადრისი პასუხი. *„შალკეს" სატრანსფერო პოლიტიკის შეფასება კურანის პრეროგატივა ნამდვილად არ არის. ესეც არ იყოს, თუ განსხვავებული აზრი აქვს, საჯაროდ კი არ უნდა იყბედოს, პირადად უნდა მითხრას,"* – თქვა მიულერმა. ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი დიდი ხანია შეუთანხმდა მთავარ მწვრთნელ **მირკო სლომკასა** და გუნდის კაპიტან **მარსელო ბორდონს** იმის თაობაზე, რომ ერთ ნახევარმცველს კიდევ იყიდის. თუმცა მიულერს დიდ რისკზე წასვლა არ სურს.

მას მერე, რაც **სტეფან აპიას** ტრანსფერი ჩაშლილად გამოაცხადა, მიულერმა აქცენტი „ვერდერის" საყრდენ ნახევარმცველ **ლეონ ანდრეასენზე** გადაიტანა. მაგრამ როგორც ჩანს, გაჩარხვა არც ამ ტრანსფერს უწერია, რადგან ბრემენული კლუბი ფეხბურთელის გაშვებას არ აპირებს. „მუსიკოსთა" ბოსმა **კლაუს ალოფსმა** მიულერს უკვე უარი შეუთვალა. ეს უკანასკნელი კი ამბობს, ფეხბურთელს ჩვენთან გადმოსვლა უნდაო და იქვე ადასტურებს, რომ ანდრეასენის ტრანსფერიც, სავარაუდოდ, არ შედგება. სლომკა, როგორც იცით, შვედეთში იყო წასული, მაგრამ ვიზიტი უშედეგო გამოდგა – მირკომ ვერ მიაგნო ისეთ ფეხბურთელს, რომელიც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.

ამასობაში, მიულერი „შალკეს" ცოტა ხნის წინათ არჩეულმა პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** დაიცვა. *„ჩვენმა მენეჯერმა შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესანიშნავად იმუშავა და მას ჩემგან სრული მხარდაჭერა აქვს. კურანიმ კი უნდა განჭვრიტოს, თუ რამხელა ზიანის მოტანა შეუძლია „შალკესთვის" მის ასეთ განცხადებებს. თუკი მას მეორე ადგილზე ყოფნა მობეზრდა, მაშინ ეს მოედანზე დაამტკიცოს და უფრო მეტი გოლი გაიტანოს! ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ბევრი ფული დავხარჯოთ. ჩემპიონთა ლიგიდან ფულს სავარაუდოდ, დეკემბერში ავიღებთ, მაგრამ ამ თანხის წინასწარ გაფლანგვა დაუშვებელია. ჩვენ ისედაც საკმაოზე მეტად ძვირადღირებული გუნდი გვყავს – წლიური სახელფასო ფონდი 48.8 მილიონ ევროს შეადგენს,"* – აცხადებს შნუზენბერგი.

პრეზიდენტს ყველაზე მეტად ის აცოფებს, რომ ფეხბურთელების მხრიდან ახალწვეულების დაკნინება ხდება. *„აი, ისევ გამოჩნდნენ მოთამაშეები, რომლებიც ახალწვეულებს აკნინებენ და რომლებსაც ჰგონიათ, რომ მათზე გაცილებით უკეთესები არიან"* – აცხადებს პრეზიდენტი და ხელს აშკარად კურანისკენ იშვერს, *- ჯონსი, ვესტერმანი და რაკიტიჩი ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან და ამას მალე დაამტკიცებენ. სხვათა შორის, თავის დროზე ებე სანდზე, ნიკო ვან კერკჰოვენსა და კრისტიან პოულსენზეც იგივეს ამბობდნენ, მაგრამ როცა ამ ფეხბურთელებმა „შალკე" დატოვეს, ყველა ტიროდა. ესეც არ იყოს, ნერვები მეშლება იმის გამო, რომ ზოგიერთებს უნდათ, ჰამით ალთინთოფი და ლინკოლნი გმირებად აქციონ. ამ დროს კი, ბრაზილიელმა თავისი რეალური ძალა მთელ სეზონში მხოლოდ 6-ჯერ აჩვენა, ჰამითი კი თავისი შესაძლებლობების გამოვლენას მხოლოდ მას მერე შეუდგა, რაც გაირკვა, რომ „ბაიერნში" გადადიოდა. მანამდე, ორი სეზონის განმავლობაში სუსტი იყო. ასე რომ, მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ნამდვილად არ დაგვიკარგავს!"*

შნუზენბერგი ძალიან განარისხა იმან, რომ ჰამითმა და ლინკოლნმა გუნდის დატოვების შემდეგ, „შალკეზე" ცუდად ილაპარაკეს. *„2004 წელს, როცა ლინკოლნი „კაიზერსლაუტერნიდან" ვიყიდეთ, ის ბედნიერი იყო იმის გამო, რომ უამრავი სკანდალისა და ჩაგდებული სეზონის შემდეგ, საერთოდ ახალი გუნდი იპოვა! ხოლო ჰამითი „ვატენშაიდიდან" რომ არ წამოგვეყვანა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ „ბაიერნში" ვერასდროს მოხვდებოდა!"* – ამბობს **ლევან კობიაშვილის** გუნდის ბოსი.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# აქეთ სოსა, იქეთ რიბერი

## რეკორდმაისტერი ფლანგებიდან ძალიან მაგარია




ხოსე ერნესტო სოსა და ფრანკ რიბერი

პარასკევს „ბაიერნმა" მორიგი ტესტმატჩი გამართა. მიუნხენური გიგანტის მეტოქე ამჯერად გერმანიის მე-8 ლიგაში მოასპარეზე, მიუნხენის „გერნი" გახლდათ. სხვათა შორის, ეს ის გუნდია, სადაც **ფილიპ ლამმა** პირველი საფეხბურთო ნაბიჯები გადადგა. უსუსტეს მეტოქეს ბავარიელებმა, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი გოლი გაუტანეს – სულ 18! აქედან, ყველაზე მეტი, ოთხი გოლი **მიროსლავ კლოზეს** ანგარიშზეა, რომელმაც ამ პოკერით, ცხადია, ძალიან გაიხარა. სამი გოლის გატანა შეძლო „ესტუდიანტესიდან" ნაყიდმა **ხოსე ერნესტო სოსამ**. **ლუკა ტონიმ, ფრანკ რიბერიმ** და **მატს ჰუმელსმა** 2-2 გოლის გატანა მოახერხეს, ხოლო **ფილიპ ლამმა, მარკ ვან ბომელმა, მარტინ დემიკელისმა** და ახალგაზრდა **სანდრო ვაგნერმა** კი თითოჯერ იხეირეს. ერთი გოლი კი, „გერნის" მეკარემ საკუთარ კარში შეაგდო...

მოკლედ, ერთი რამ ფაქტია – მომავალ სეზონში ახალ და რაც მთავარია, ძალიან საინტერესო „ბაიერნს" ვიხილავთ. ჩატარებული ტესტმატჩების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ რეკორდმაისტერს სიძლიერე ყველაზე მეტად შეტევის ფლანგებზე დაეტყო. „გერნთან" მარჯვნიდან სოსა დომინირებდა და საერთოდ, ეს ბიჭი არა მარტო მოლოდინს ამართლებს, არამედ მოლოდინს აჭარბებს კიდეც, ხოლო მარცხნიდან კი რიბერი მუსრავდა მცველებს. თანაც, არგენტინელმა და ფრანგმა რამდენჯერმე გაცვალეს ფლანგები, რითაც ისედაც უსუსურ მეტოქეს კიდევ უფრო აუბნიეს თავგზა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამხანაგური თამაში იყო და თანაც, ასტრონომიული სხვაობით იგებდნენ, რიბერის თავი არ დაუზოგავს და მთელი 90 წუთის განმავლობაში შეუჩერებლად იომა, რისთვისაც, ნამატჩევს **ოტმარ ჰიტცფელდის** კომპლიმენტი დაიმსახურა. თანაც, რიბერიმ „გერნის" მოთამაშეებს რამდენჯერმე **ზინედინ ზიდანის** ის ცნობილი ფინტი ჩაუტარა და ამით მაყურებლები აღაფრთოვანა. ერთ ეპიზოდში კი, მოედნის ცენტრიდან დაწყებული სოლორეიდით თერთმეტმეტრიანის ნიშნულამდე მივიდა, იქ კი ველარ ივარგა და კარს ააცილა. მოკლედ, რიბერი „გერნთანაც" რიბერი იყო.

*„უდიდესი სიამოვნება მივიღე,* – განაცხადა ფრანგმა მატჩის შემდეგ, *- მაგრამ დამერწმუნეთ, ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაში. ყველაფერი გაცილებით უკეთესადაც შემიძლია. როგორც ხედავთ, თავი არ დავზოგე. მერე რა, რომ მეტოქე სუსტი იყო – როცა მინდორზე ხარ, ბოლომდე უნდა იბრძოლო. უბრალოდ, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ „ბაიერნის" ქომაგებს ჩემი შესაძლებლობები მუდმივად, ყველა თამაშში და ყველა ვარჯიშზე ვუმტკიცო."*

მარჯვენა ფლანგი კი სოსამ აიკლო, რომელიც რიბერისგან იმით განსხვავდება, რომ უფრო რბილი ფეხბურთელია, სამაგიეროდ, საგოლე ალღო აქვს უკეთესი. სოსა ტექნიკურია და სწრაფიც, მასზე მეტი გოლის გატანა „გერნთან" მხოლოდ კლოზემ მოახერხა – არგენტინელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. სხვათა შორის, მანვე მოიპოვა თერთმეტმეტრიანი, რომელიც გოლად ტონიმ აქცია. ეს გახლდათ ლუკას პირველი გოლი რეკორდმაისტერის მაისურით.

*„ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გაცილებით მეტი შეგვიძლია,* – ეს უკვე კაპიტან **ოლივერ კანის** სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, *- თავი არცერთმა ფეხბურთელმა არ დაზოგა, თითოეული მათგანი ბოლომდე იბრძოდა, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი, რადგან ყველა, ვისაც თავის გამოჩენის შანსი ეძლევა, მაქსიმალურად ცდილობს, რომ ეს შანსი გამოიყენოს. ბოლოს და ბოლოს, ყველა პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი გვყავს!"*

რიბერი: *„აქედანვე ცხადია, რომ ყველა გუნდის ოცნება ჩვენი დამარცხება იქნება, მაგრამ ამისთვის მზად ვართ. ჩვენ ყველა თამაშის მოგება გვსურს!"*

შაბათს კი, ბავარიულ გიგანტს კიდევ ერთი ახალწვეული შეუერთდა. საუბარია **ზე რობერტოზე**, რომელიც „ბაიერნში" „სანტოსიდან" დაბრუნდა. როგორც იცით, ბრაზილიელი ნახევარმცველი რეკორდმაისტერიდან ერთი წლის წინათ წავიდა და მისი წასვლის მიზეზი „ბაიერნის" იმდროინდელი თავკაცი **ფელიქს მაგათი** გახლდათ, რომელმაც გუნდში ზე რობერტოს ადგილი ველარ დაინახა. თუმცა ზემ „სანტოსში" იმდენად კარგი სეზონი ჩაატარა, რომ მიუნხენელთა ბოსების ყურადღება ისევ მიიქცია. კერძოდ, მისი დაბრუნების უმთავრესი ინიციატორი ჰიტცფელდი გახლდათ.

*„ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს „ბაიერნში" პირველად ვარ, რადგან ძალიან ბევრი რამაა შეცვლილი. ამას ნამდვილად არ ველოდი – გუნდში აბსოლუტურად სხვა, ძალიან მეგობრული და თბილი ატმოსფერო დამხვდა. ორი აზრი არ არსებობს, ეს ჰიტცფელდის დამსახურებაა,"* – განაცხადა ზე რობერტომ პირველი ვარჯიშის შემდეგ. ამრიგად, ბაიერნი უკვე სრული შემადგენლობითაა შეკრებილი...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მარკ ვან ბომელთან

# დაუმარცხებელი არავინაა, მათ შორის, არც ჩვენ

## ბაიერნის ჰოლანდიელი ლიდერი ახალწვეულებს მხოლოდ სეზონის ბოლოს შეაქებს...

**„ბაიერნის“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი გაწონასწორებული პიროვნებაა, რაც ქვემორე ინტერვიუდანაც ჩანს, რომელიც მას „კიკერმა“ ჩამოართვა. იმ დროს, როცა მიუნხენში პირზე ყველას ლუკა ტონის, ფრანკ რიბერის ან მიროსლავ კლოზეს სახელები აკერია, ხსენებული გამოცემის კორესპონდენტებმა რეკორდმაისტერის „ძველი ლიდერი“ გაიხსენეს და მასთან ძალიან საინტერესო საუბარი გამოუვიდათ. ვან ბომელი არაერთ საინტერესო კითხვას საინტერესოდ პასუხობს. სხვებისგან განსხვავებით, ჰოლანდიელი შესანიშნავი ახალწვეულების გამო ეიფორიაში არაა ჩავარდნილი და ფიქრობს, რომ გუნდის სატრანსფერო პოლიტიკის შეფასება მხოლოდ სეზონის შემდეგ იქნება შესაძლებელი.**

**- ჰერ ვან ბომელ, როცა ვარჯიშზე მიდიხართ, ბედნიერი ხართ თუ მოწყენილი?**

- მოწყენილი რატომ უნდა ვიყო? მე ხომ საუკეთერსო პროფესია მაქვს და თანაც, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ვირიცხები. თუმცა კითხვის ქვეტექსტს მიგიხვდით – მოწყენილი ალბათ იმიტომ, როი მაკაი რომ წავიდა, არა?

**- დიახ.**

- როი შესანიშნავი თავდამსხმელია, რომელსაც „ბაიერნისთვის“ დიდი ფასი ჰქონდა. მან ამ გუნდისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა. მაკაი ყველას გვენატრება, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია, სადაც ყველაფერი ხდება.

**- მაკაის ტრანსფერს რა შეფასებას მისცემდით?**

- არანორმალური არაფერი მომხდარა. „ფეიენოორდის“ მწვრთნელმა, ბერტ ვან მარვიიკმა, რომელიც ჩემი სიმამრია, ძალიან კარგი ფეხბურთელი მიიღო. ჩვენ კი დავკარგეთ.

**- როის გარეშე თავს მარტოდ ხომ არ გრძნობთ?**

- არა. ცხადია, მე და როი ერთად ძალიან კარგად ვიყავით – ის ჩემი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ყველასთან ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. „ბაიერნს“ არა მარტო კარგი ფეხბურთელები, არამედ შესანიშნავი პიროვნებები ჰყავს. ახლებიც ზუსტად ისეთები არიან, ამ გუნდს რომ შეეფერება.

**- მაკაი და პისარო წავიდნენ, ტონი და კლოზე მოვიდნენ – ანუ, თავდასხმა გაუმჯობესდა...**

- მხოლოდ ეს ორი ფორვარდი არ მოსულა – არ უნდა დაგვავიწყდეს იან შლაუდრაფიც, რომელიც საკმაოდ კარგი თავდამსხმელია. ჩვენ ახალი თავდასხმა გვყავს, პლუს ამას უდიდესი პოტენციალის მქონე ლუკას პოდოლსკი და ასევე როკე სანტა კრუსი, რომელიც ჯერ არსად წასულა. გავძლიერდით თუ არა თავდასხმაში, ეს ჯერ ძნელი სათქმელია – მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად აშკარად ასეა. ამ ყველაფერს უშუალოდ მომავალი სეზონი გამოაჩენს, თორემ წინასწარ საუბარი ყოველთვის ადვილია. ფაქტი ისაა, რომ შესანიშნავი ფორვარდები გვყავს, მაგრამ მაკაი და პისაროც შესანიშნავი ფორვარდები იყვნენ და არიან.

**- სკეპტიკურად ხართ განწყობილი?**

- არა, მაგრამ წარსულის შეფასება ხომ ფაქტებით ხდება, მომავალს კი წინასწარ ვერ განჭვრეტ.

**- ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელის წასვლა დაეტყობა გუნდს?**

- „ბაიერნში“ ყველას თავისი ფასი და ადგილი ჰქონდა. მაგალითად, ჰასან სალიჰამიჯიჩს თითქმის ნებისმიერ პოზიციაზე შეეძლო თამაში და მის არყოფნას ოტმარ ჰიტცფელდი ძალიან მალე იგრძნობს. მეჰმეთ შოლი თითქმის აღარ თამაშობდა, მაგრამ გუნდისთვის მაინც უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო. მაკაისა და ჰარგრივსის წასვლა უდიდესი დანაკლისია, მაგრამ ახალწვეულებიც შესანიშნავი ფეხბურთელები არიან – ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს დღევანდელი გადასახედიდან.

**- რას ელით ამ ახალი „ბაიერნისგან“?**

- ჰო, ახლა ყველა ახალ „ბაიერნზე“ საუბრობს, რადგან 8 ფეხბურთელი წავიდა და 8 ახალწვეული გვყავს. საერთოდ, დიდ გუნდებში ასეთი კარდინალური საკადრო ცვლილებები იშვიათად ხდება ხოლმე. გუნდს ახალი სისხლი გადაესხა. ერთი რამ არ შეცვლილა: ძველებმაც და ახლებმაც, თავი არ უნდა დაზოგონ! გუნდში ახლა დიდი კონკურენციაა, რაც მისასალმებელია.

**- შესაძლოა, ნეგატიური იყოს ის, რომ ახალ ფეხბურთელებს ადაპტაციისთვის დრო დასჭირდებათ...**

- დიახ, ეს შესაძლებელია. მაგრამ ახლა მთავარია, რომ პოზიტიურად ვიფიქროთ – ასეთ შემთხვევაში ყველაფერი ძალიან იოლია ხოლმე. სკეპტიკურად რომ განვეწყოთ, მაშინ ახლებს ადაპტაციისთვის მართლაც ერთი სეზონი დასჭირდებათ – ეს მარტივი ფსიქოლოგიაა.

**- ისე, სჭირდებოდა კი „ბაიერნს“ ამდენი ახალი ვარსკვლავი?**

- როცა გუნდს 8 ფეხბურთელი დატოვებს, მინიმუმ 6-დან 8-მდე ხომ მაინც უნდა იყიდო? და რაც მთავარია, რვავე ახალწვეულს შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში – ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ყველა დიდ გუნდს თითოეულ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი ჰყავს, ზოგიერთი ფეხბურთელი კი სულაც უამრავ პოზიციაზე თამაშობს ხოლმე. თუკი სამივე ფრონტზე წარმატების მიღწევა გვსურდა, მაშინ ასეც უნდა მოვქცეულიყავით და აი, მოვიქეცით კიდეც.

**- და თქვენი აზრით, „ბაიერნი“ ისევ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია?**

- რთული სათქმელია. მხოლოდ იმიტომ, რომ 70 მილიონი დავხარჯეთ, საუკეთესოები ნამდვილად არ ვართ – ფულით ყველაფერს ვერ იყიდი. მაგრამ ის, რომ ამდენი კარგი ფეხბურთელის გადმობირება მოვახერხეთ, ცხადია, რომ ჩვენი უპირატესობაა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს არ არის ყველა ტიტულის მოგების გარანტია.

**- მაგრამ „ბაიერნი“ სამივე ტურნირის ტო-ფავორიტია, არა?**

- ყველა ამას ამბობს, ჩვენს გარდა! რაკი გუნდმა ასეთი სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა, ცხადია, რომ უეფას თასზე, ბუნდესლიგაში და გერმანიის თასზე ნომერ პირველი ფავორიტია, მაგრამ ეს ჩვენთვის უმძიმეს წნეხსაც ნიშნავს. არაფრის გარანტია არ გვაქვს!

**- ძალიან ფრთხილი ხართ...**

- არა! ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, სამივე ტიტულს უპრობლემოდ მოვიგებთ-მეთქი, მაგრამ ეს არ არის სასურველი მომენტი. ასეთი განცხადების გაკეთების უფლება ნებისმიერ ჩვენგანს აქვს, მაგრამ ჩემი აზრით, წინასწარ ბაქი-ბუქობა დიდი სისულელეა. სეზონის წინ ასეთი რამ არასდროს მითქვამს.

**- ყველაზე მეტად რომელი ახალწვეული გხიბლავთ?**

- გამოყოფით ვერცერთს ვერ გამოვყოფ. ისე კი, ვიმედოვნებ, რომ შლაუდრაფი თავის თავსა და ადგილს გუნდში მალე იპოვის. აახენში რთული პერიოდი გადაიტანა, მერე ტრავმაც მიიღო და მინდა, რომ ამ ბიჭმა მასზე გაცემული ავანსები გაამართლოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი დავეხმარებით.

**- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ სხვა ახალწვეულებზე?**

- ძალიან კარგი, მართლაც ძალიან კარგი.

**- კომუნიკაციის პრობლემა შეიქმნებოდა...**



მარკ ვან ბომელი

- ერთმანეთს ჯერჯერობით ხელებითა და ფეხებით ველაპარაკებით.

**- ისე, თქვენ ტონისთან საუბრის პრობლემა არ გექნებათ...**

- ლუკა ინგლისურადაც საუბრობს და ესპანურადაც. ცოტა იტალიური მეც ვიცი. ასე რომ...

**- გასულ სეზონში გუნდის ერთ-ერთი უსუსტესი წერტილი დაცვის ხაზი იყო, რომელიც არ გაძლიერებულა...**

- მთლიანად გუნდი გაძლიერდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაძლიერდა დაცვაც. ეს იმიტომ, რომ დაცვაზე მხოლოდ მცველები კი არა, მთელი გუნდი ზრუნავს.

**- ამ „ბაიერნს“ დაცვა საერთოდ სჭირდება?**

- ყველა ამას ამბობს, „ბაიერნი“ დაუმარცხებელიაო. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა – ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეიძლება. მათ შორის, ამ „ბაიერნისაც“. ვერავინ იტყვის, რომ ეს „ბაიერნი“ ყველა თამაშს მოიგებს – ეს აფსურდია.

**- როგორ გგონიათ, რამდენი ხანი დასჭირდებათ ახლებს ადაპტაციისთვის?**

- კარგ ფეხბურთელებს, საერთოდ, დიდი დრო არ სჭირდებათ ხოლმე. ვფიქრობ, ეს პერიოდი შობამდეც კი არ გაგრძელდება.

**- როგორ ფეხბურთს ელით ამ გუნდისგან?**

- წარმატებულს! ფაქტია, რომ ყოველთვის კარგად ვერ ვითამაშებთ. იქნება, ჩაგდებული მატჩებიც, მაგრამ მთავარი ერთი რამ არის – შედეგი უნდა იყოს!

**- ხომ არ ნაღვლობთ იმის გამო, რომ გუნდმა ტიპური ფლეიმეიქერი არ შეიძინა?**

- არა! მნიშვნელობა არა აქვს – გნებავს ფლანგებიდან შეუტიე და გნებავს ცენტრიდან – ფლეიმეიქერი საჭირო აღარ არის. თანაც, ასე უფრო ამოუცნობები ვართ.

**- ფაქტია, რომ თქვენ საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობების შესრულება მოგიწევთ. ეს თქვენთვის სასურველი პოზიციაა თუ გირჩევნიათ, რომ უფრო წინ გაგამწესონ?**

- საყრდენობაც შემიძლია და ცენტრალური ნახევარმცველობაც. მთავარია, ვითამაშო და მნიშვნელობა არა აქვს, სად გამამწესებს მწვრთნელი.

**- იქნებ, სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის საფრთხეც გემუქრებათ?**

- ძირითადში თამაშის გარანტია არავის აქვს – მათ შორის, არც მე.

**- როგორ? თქვენ არ ხართ დარწმუნებული, რომ სასტარტოში ითამაშებთ?**

- დიახ – გარანტია არც მე მაქვს!

**- მოხვედით თუ არა გუნდში, მაშინვე ერთ-ერთი ლიდერი გახდით და პასუხისმგებლობებიც დაგეკისრათ. აღიარებთ, რომ რიგ მომენტებში ეს ურთულესი მისია იყო?**

- ყოველთვის ვცდილობ, რომ მოედანზე შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო. ყველა თამაშში 100 პროცენტით დავიხარჯე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ რომელიმე ტიტული მოგვეგო.

**- საკუთარ თავს რაიმე ბრალდებას ხომ არ უყენებთ?**

- არა, რადგან წარუმატებლობა კონკრეტულად არავის ბრალი არ ყოფილა – არც ჩემი. ეს ყველას ბრალი იყო, მთელი გუნდისა და მწვრთნელის. ცუდი სეზონი გვქონდა.

**- შვებულებაში ყოფნისას ფიქრობდით იმაზე, თუ რატომ ჰქონდა „ბაიერნს“ ასეთი ცუდი სეზონი?**

- სუსტ გუნდებთან ძალიან ბევრი ქულა დავკარგეთ და ეს იყო ჩვენი უმთავრესი მინუსი. თუ რატომ, ამ კითხვაზე პასუხის პოვნას დღემდე ვცდილობ.

**- ჰიტცფელდმა „აგრესიული ლიდერი“ გიწოდათ და ეს პოზიტიურად იგულისხმა. მომავალ სეზონშიც ასეთი იქნებით?**

- არ ვიცი, ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. ამას უშუალოდ სეზონი გამოაჩენს.

**- ვინ უნდა იყოს თქვენთან ერთად წამყვანი ფიგურა?**

- გამოცდილები: კლოზე, ტონი, ლუსიო, ვან ბუიტენი, კანი, სანიოლი. რა თქმა უნდა, ზე რობერტოც. და ისმაელი.

**- რაკი კონკურენცია უდიდესია, დიდია იმის შანსი, რომ ფეხბურთელებს შორის განხეთქილებებს ჰქონდეს ადგილი...**

- არა მგონია, რომ ასე იყოს – არა მგონია, რომ ვინმეს ვინმესი შეშურდეს. ეს არ არის ისეთი გუნდი, ისეთი კოლექტივი, რომ ერთმანეთს ვეჩხუბოთ. დამიჯერეთ, ეს არ მოხდება.

**- დიდი შანსია, რომ შვაინშტაიგერმა და პოდოლსკიმ მთელი სეზონის განმავლობაში სათადარიგოთა სკამი ხეხონ. ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის გმირები არიან, ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელები...**

- შვაინიმ და პოლდიმ ვარჯიშებზე თავი არ უნდა დაზოგონ. ფაქტია, რომ მათ არავინ დაჩაგრავს.

**- დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ გუნდში ახალი იერარქია ჩამოყალიბდეს?**

- ეს უფროსი ფეხბურთელების პრეროგატივაა. თუმცა იერარქია ყოველთვის თავისით ყალიბდება ხოლმე და ამისთვის ხან დიდი დროა საჭირო, ხანაც პირიქით – ძალიან ცოტა.

**- ჰონგ კონგში კაპიტნის სამკლაურს ატარებდით. და მაშინვე დაირხა ხმები, ახალ სეზონში "ბაიერნის" კაპიტანი ვან ბომელი იქნებაო...**

- ეს, რა თქმა უნდა, ჭორია. კაპიტანი დღესაც ოლივერ კანია და ასე იქნება მომავალ სეზონშიც. ჰონგ-კონგში ამ სამკლაურის ტარება ძალიან მეამაყებოდა.

**- პირადად თქვენ, რა გეგმები გაქვთ ახალ სეზონში? ალბათ, უფრო მეტი გოლის გატანა და ნაკლები გაფრთხილების მიღება გსურთ...**

- მინდა, რომ გუნდი ფუნქციონირებდეს და რომ ტიტულები მოვიგოთ.

**- გასულ სეზონში 6 გოლი გაიტანეთ...**

- ჰო, მაგრამ გოლი საერთოდ რომ არ გამეტანა და ჩემპიონები გავმხდარიყავით, ეს უკეთესი იქნებოდა. იმ ექვს გოლს რომელიმე ტიტულში სიამოვნებით გავცვლიდი. მე არ ვარ მთავარი – მთავარი გუნდია.

**- გულახდილად გვითხარით, გასულ სეზონში რამდენჯერ დაგეუფლათ ისეთი გრძნობა, რომ სულ სხვა ფილმში, სულ სხვა როლს თამაშობდით?**

- ასეთი გრძნობა ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ ბოლო ერთ წელიწადში ეს გრძნობა აღარ გამჩენია, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუნხენში გადმოსვლა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- კონტრაქტი 2009 წლამდე გაქვთ გაფორმებული. გაგრძელებაზე არ ფიქრობთ?**

- სანამ გუნდი ახალი წინადადებით არ მომმართავს, მნიშვნელობა არა აქვს, მე რას ვფიქრობ.

**- და რომ მოგმართონ?**

- კონტრაქტს სიამოვნებით გავაგრძელებდი. ჩემი მიზანი, ამ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაა და არ მინდა, რომ მიუნხენიდან ამ ტიტულის გარეშე წავიდე.

**გოტფრიდ ლენცი**

ვოლფსბურგი

# მაგათის ფაქტორი

## დესპოტი ფელიქსი გროსოსთან ახლოს იყო

გერმანული კლუბებიდან სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტი, რა თქმა უნდა, „ბაიერნმა“ დახარჯა – მიუნხენურმა კლუბმა 8 ფეხბურთელში 70 მილიონი ევრო დააბანდა. და რომელი გუნდია მეორე ადგილზე? გაგიკვირდებათ და დღესდღეობით, „ბაიერნის“ შემდეგ, ყველაზე მეტი არც „შალკეს“ აქვს დახარჯული, არც „ვერდერსა“ და არც „შტუტგარტს“ – რეკორდმაისტერს არც მეტი, არც ნაკლები, "ვოლფსბურგი" მოსდევს (13.45 მილიონი). ეს ის გუნდია, რომელიც გასულ სეზონში ძლივსლძიობით გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას. მაგრამ როგორც იციით, „მგლების“ ხელმძღვანელები აზრზე მოვიდნენ და მთავარ მწვრთნელად **ფელიქს მაგათი** დანიშნეს, თანაც, ამ უკანასკნელს მენეჯერის ფუნქციაც და შესაბამისად, სრული ძალაუფლება მისცეს. ფელიქსიც ამუშავდა და მერე როგორ...

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაგათი ძალიან ახლოს იყო **ფაბიო გროსოსთან**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ „ლიონს“ მიაშურა. გროსოს „ვოლფსბურგში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა, როცა საქმეში ფრანგული გრანდის შეფები ჩაერთვნენ და რაკი ეს ასე მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონმა მარცხენა მცველმა მაშინვე საფრანგეთის ჩემპიონის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი. არადა, მაგათი ბოლონიაში გახლდათ ჩასული, სადაც 29 წლის ფეხბურთელის აგენტს შეხვდა და მოლაპარაკებები გამართა. *„საქმეში „ლიონი“ რომ ჩართულიყო, გროსოს გადმოვიბირებდით. „ლიონს“ კი, კონკურენცია, რა თქმა უნდა, ვერ გავუწიეთ, რადგან ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. არა უშავს, ჩვენ აუცილებლად შევქმნით ბაზას, რომელიც მაღალი კლასის ფეხბურთელებს „ვოლფსბურგში“ მოიზიდავს,“* – აცხადებს მაგათი.

"დესპოტი ფელიქსის" გამო „ვოლფსბურგი“ ახლა ყურადღების ცენტრშია მოქცეული. გუნდისგან, რომელიც ბოლო ორ სეზონში ელიტიდან გავარდნას რის ვაი-ვაგლახით გადაურჩა, ყველა წარმატებულ სეზონს ელის. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მაგათის ხელში „მგლებმა“ ხუთეულში მოსახვედრად უნდა იბრძოლონ. ბოლოს იმ მოთამაშეების სიას გაგაცნობთ, რომელთა გადაბირებაც ფელიქსმა მოახერხა: **რიკარდო კოშტა, ედინ ძეკო, საშა რიტერი, დანიელ ბაიერი, სერგიუ რადუ, ვლად მუნტეანუ, აშკან დეჟაგა.**

### ლივერპული: ყველაზე დიდი საკლუბო სტადიონი?

"ლივერპულმა" ახალი სტადიონის პროექტი შეცვალა. ორიოდე თვის წინათ ქალაქის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა გეგმა, რომელიც 60-ათასიანი არენის მშენებლობას ითვალისწინებდა. ახალი გათვლით, სტადიონი 80 ათას მაყურებელს დაიტევს და ის ბრიტანეთის უდიდესი საკლუბო არენა იქნება, უფრო დიდი, ვიდრე "ოლდ ტრეფორდია". ტრიბუნების არაერთგზის რეკონსტრუქციის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედის" მშობლიური სტადიონი 76 ათას გულშემატკივარს იტევს. "ლივერპულის" ბოსების ამბიცია ისიც არის, რომ მათი ახალი ნაგებობა დაუძინებელი მეტოქის სახლზე მასშტაბური და შთამბეჭდავი იყოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ "ოლდ ტრეფორდის" შემდგომი გაფართოება თითქმის შეუძლებელია. ესე იგი, პირველად ისტორიაში სტადიონების ტევადობით "ლივერპული" "იუნაიტედზე" მაღლა დადგება. ლივერპულელი ფანები ამ ჩანაფიქრს მიესალმებიან. ახალი სტადიონი მერსისაიდელებს 250 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

კალათბურთი

ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე

# ურთულესი ისრაელი



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

კომუნისტური ტერმინი რომ ვიხმაროთ, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. თუნდაც იმიტომ, რომ ბიჭებს ერთად თამაშის გამოცდილება არ ჰქონდათ, ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება იოლი არ უნდა ყოფილიყო... **დავით უსტიაშვილის** შეგირდებმა ქართული ხასიათი გამოავლინეს, მოულოდნელად იფეთქეს და ჯგუფში ორი მატჩი მოიგეს. ჯერ ლატვიას 102:72 აჯობეს, შემდეგ ბულგარეთს 75:74. შუალედში, იტალიასთან დიდი სხვაობით დავმარცხდით, თუმცა ამ შეხვედრის პირველმა მეოთხედმა (15:15) გვიჩვენა, რომ მასპინძლებთანაც შეიძლებოდა ბოლომდე თამაში. მაგრამ მწვრთნელმა გუშინ გვითხრა, რომ მეორე პერიოდში იტალიელები წინ გაიჭრნენ და აშკარად გამოჩნდა - თამაშის შემოტრიალება ქართველთაგან ორმაგ ენერგიას წაიღებდა. ფეხმტკივანი ლიდერებით კი მსგავსი რამ რთული შესასრულებელი იყო, ამიტომ, უსტიაშვილმა მეორე ტაიმში **რეზო დიდია** და **გიორგი შერმადინი** შეძლებისდაგვარად დაასვენა. შესაბამისად, იტალიამ 94:56 გვაჯობა.

აპენინელები და ბულგარელები F ჯგუფშიც გადაგვყვნენ, ისევე, როგორც ბალკანელებთან მოგება და იტალიელებთან წაგება. ამ ქვეჯგუფიდან ნახევარფინალში გასვლის ყველაზე კარგი შანსი, მასპინძლების გარდა, ესპანელებს აქვთ, რომლებმაც ჯგუფში ისრაელიც დაამარცხეს და ხორვატიაც.

ასე და ამგვარად, F ჯგუფში უკვე 2-2 მოგება აქვთ იტალიასა და ესპანეთს, თითო - საქართველოსა და ისრაელს, არცერთი - ხორვატიასა და ბულგარეთს. ნახევარფინალში გასასვლელად აუცილებელია დღეს ისრაელს მოვუგოთ, ხვალ კი ესპანელებს...

ლრუბლებიდან მიწაზე უსტიაშვილის სიტყვები დაგვაბრუნებს: *"ის ფაქტი, რომ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის საუკეთესო თორმეტეულში, ევროელიტის გუნდებს შორისაა, უკვე ბევრს ნიშნავს. ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს. ჯგუფიდან გასვლის საუკეთესო შანსი იტალიასა და ესპანეთს აქვთ".*

ზემოთ გავარკვიეთ მეორე ჯგუფური ეტაპის მეტოქეები და განვსაზღვრეთ ნახევარფინალში მოხვედრის შანსი. დავძენთ, რომ F და E ჯგუფებიდან ნახევარფინალში ორ-ორი საუკეთესო გადის, შემდეგ ფინალი იქნება...

მოდით, ახლა გავარკვიოთ, რითი ხასიათდება საქართველოს ნაკრები პირველ ეტაპზე. ამაში ჯამური მონაგარი დაგვეხმარება. ევროპის ჩემპიონატის სტატისტიკურ ლიდერთა ჩამონათვალს რომ გადავხედოთ, დაფარებების გარდა, ქართველის გვარს ხუთეულში ვერსად ალმოაჩენთ. არადა, შარშან, B დივიზიონის ლიდერთა შორის, **ვიქტორ სანიკიძე** ყველა კომპონენტში სამეულში შედიოდა. წინა წლისა და დღევანდელ ნაკრებებს შორის განსხვავება სწორედ ისაა, რომ ამჯერად ფუნქციები თანაბრადაა გადანაწილებული და გუნდი ლიდერის გარეშე თამაშობს.

...რაც შეეხება დაფარებებს, ამ კომპონენტში ტურნირის საუკეთესო კალათბურთელი ჩვენებური **გიორგი შერმადინია**. მას 3 მატჩში 9 ბლოკ-შოტი აქვს და 3-ით უსწრებს მეორეადგილოსანს.

გიორგი მოხსნების საერთო რაოდენობით მეექვსეა - 25 (საშუალოდ 8.3). ის საჯარიმოს რეალიზების პროცენტული მაჩვენებლით მეშვიდე ადგილზეა, ხოლო შეცდომებში (4.0) - მეექვსე.

მეშვიდე პოზიციაზეა კიდევ ორი ჩვენიანი: **გიორგი გაფრინდაშვილი** პასების რაოდენობით (3.7), **ლაშა ფარლალავა** თამაშიდან ტყორცნების პროცენტით (53.8).

საქართველოს საუკეთესო მექულე **მიხეილ ჭოჭუა** (16.0) ოდენ მეათე ადგილზეა.

**გასულ და მომავალ სამ თამაშზე ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან ერთად ვიმსჯელეთ...**

**- თავდაპირველად, გუნდის მიერ პირველ ეტაპზე ჩატარებული თამაშები შევაფასოთ...**

- ლატვია 30 ქულის სხვაობით კი დავამარცხეთ, მაგრამ მატჩის შემდეგაც ვთქვი, რომ ასეთი ჰანდიკაპი ძალთა თანაფარდობას რეალურად არ ასახავდა. ბალტიისპირელებს ძლიერი გუნდი რომ ჰყავთ, იტალიასთან შეხვედრაშიც დაამტკიცეს - მხოლოდ 7 ქულის სხვაობით წააგეს. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ლატვიასთან გამარჯვებამ გადაწყვიტა A დივიზიონში ჩვენი დარჩენის ბედი. ბულგარეთთან ბოლო შეხვედრაში მოედანზე თავდაჯერებულები გავედით და მშვიდი თამაშის წყალობით, მეტოქეს გადასწრების უფლებას არ ვაძლევდით. მაგრამ ბოლო წუთებზე მსაჯების მიერ დაშვებულმა რამდენიმე შეცდომამ საქმე გაგვირთულა. არბიტრებმა ბოლო წამზე ისეთი ჯარიმა დააფიქსირეს, რომ ყველა გაოცებული დარჩა. საბედნიეროდ, სამართალმა იზეიმა და ბულგარელმა ორივე ჯარიმა ააცილა.

**- სტატისტიკიდან ჩანდა, რომ იტალიასთან ლიდერები დაასვენეთ...**

- პირველი მეოთხედი კარგად ჩავატარეთ, მაგრამ მეორეში მეტოქემ სოლიდური ფორა მოიპოვა, რომლის აღმოფხვრა დიდ ძალებს მოითხოვდა. ჩვენ კი კაპიტანი დიდია ტრავმირებული გვყავს, შერმადინი ნაოპერაციებია, ფაცაცია ტრავმის გამო სულაც თბილისში დავტოვეთ... ასე რომ, გადავწყვიტე, მეორე ტაიმში ტრავმირებულები დამესვენებინა, რათა ბულგარეთისთვის ძალების აღდგენა მოესწროთ.

**- მომდევნო მატჩებში, რას უნდა ველოდოთ?**

- მიზანი მიღწეულია, ლიგაში ადგილი შევინარჩუნეთ. ახლა ვეცდებით, თამაშის შანსი ყველა კალათბურთელს მივცეთ. ევროპის ჩემპიონატზე მიღებული გამოცდილება მათ სამომავლოდ წაადგებათ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმის დათმობას ვაპირებთ, პირიქით, ვეცდებით, პირველობა ღირსეულად დავასრულოთ.

**- ხორვატიის 20-წლამდელთა ნაკრებს შარშან დრაჟენ ბრაიკოვიჩი წვრთნიდა...**

- წლეულს ხორვატებს სხვა ხელმძღვანელობს, თუმცა დრაჟენი იტალიაში ვნახეთ, ძალიან თბილად მოგვიკითხა, საქართველოს ნაკრების ამბებიც აინტერესებდა და იტალიასთან მატჩშიც გვიქომაგა...

## პირველი მეტოქე, ისრაელი

## ომრი და ორი

დღეს, თბილისის დროით 17:30 საათზე, საქართველოს ნაკრები ისრაელს დაუპირისპირდება. ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს მცირე ცნობები მეტოქის შესახებ.

ებრაელებმა ტურნირის გახსნით მატჩში მაკედონია იოლად დაამარცხეს 95:65. შემდეგ ხორვატიას მოუგეს 77:64. ჯგუფის ბოლო შეხვედრაში კი ესპანელებს თანაბარი ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ 73:77 წააგეს.

ისრაელის ნაკრების მეორე ადგილში დიდი წვლილი მიუძღვის **ომრი კასპის,** რომელიც გუნდის სული და გულია. მის ანგარიშზე საშუალოდ 21.3 ქულაა, რაც ოდნავ ნაკლებია ტურნირის სნაიპერის **რონალდს ზაკისის** (ლატვია) მონაგარზე - 24.7 ქულა.

ისრაელთან მატჩში ბევრი რამ ფრთის მოთამაშეებზე იქნება დამოკიდებული. თუ ფარლალავა ან ჭოჭუა კასპის შეჩერებას მოახერხებენ, გამარჯვების შანსი 51 პროცენტამდე გაგვეზრდება. აქვე გეტყვით, რომ აპრილში ომრი გიორგი შერმადინთან ერთად მსოფლიო ნაკრებში ვარჯიშობდა. ბოლოს კი ისრაელის ნაკრების შესახებ უსტიაშვილის მოსაზრებასაც გაგაცნობთ:

*"ისრაელის ნაკრებმა წინასწარი ტურნირებიცა და ევროპის ჩემპიონატის მატჩებიც მაღალ დონეზე ჩაატარა. მათ რიგებშია ნიჭიერი ახალგაზრდა კასპი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო შემტევია. წინასწარ ერთის თქმა შემიძლია: ისრაელთან ურთულესი მატჩი გველის".*

ვაჟა სიმონიშვილი



ისრაელის ახალგაზრდულის ლიდერი ომრი კასპი

ლეგიონერი

# ხუთიანი, ხუთიანი...

**ნიკა ცქიტიშვილმა** ორწლიანი შესვენების შემდეგ "დენვერ ნაგეტსის" მაისური ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაზე მოირგო. მან პირველივე შეხვედრაში "ხუთიანზე" ითამაშა და თანაგუნდელებს "კლიპერსის" ძლევაში დაეხმარა - 108:104. ნიკამ 24 წუთში 4 ორქულიანი, 1 სამქულიანი, 3 საჯარიმო ჩააგდო და ანგარიშზე 14 ქულა ჩაიწერა, რასაც 7 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრაც მიამატა. სათაურში ნახსენები "ხუთიანი" მხოლოდ ნიკას შეფასება როდია, დახედეთ ფოტოს და ნახავთ, რომ ქართველი "დენვერში" 22-ის ნაცვლად 55-ნომრიანი მაისურით დაბრუნდა. მატჩის მსვლელობისას მოვლენები საინტერესოდ განვითარდა: პირველ ტაიმში "ნაგეტსი" 29 ქულით დაწინაურდა, მაგრამ "კლიპერსმა" ეს სხვაობა 4-მდე დაიყვანა (104:108).

| დენვერი-კლიპერსი | 108:104 |
|---|---|

31:22, 35:22, 23:30, 19:30

დენვერი: ვეიფერი (13 ქ), ბალოკი (8 ქ. 7 პ), ცქიტიშვილი (24 წთ. 14 ქ. 7 მ. 3 პ. 1 ჩ. 4 ფ), მიური (17 ქ), მაკკოი (14 ქ. 13 მ), ფრეიე (5 ქ), სამპტერი (16 ქ), დრეიპერი (9 ქ), რაითი (4 ქ), კოლინზი (7 ქ), დუგლასი (1 ქ).

კლიპერსი: თორნტონი (24 ქ), დიასი (15 ქ), დევისი (18 ქ. 11 მ), აბუკარი (19 ქ).

**ცქიტიშვილის მონაგარი**

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 08:10 | ორქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 07:45 | შეცდომა: 1 |
| 06:39 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 06:07 | ორქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 04:45 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (16:13) |
| 04:45 | საჯარიმო: 1/0 |
| 04:15 | ჩაჭრა: 1 (თორნტონს ჩაუჭრა) |
| 03:56 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 03:52 | პასი: 1 (მაკკოი, 2 ქ. 20:15) |
| 03:45 | ფოლი: 1 |
| 02:43 | ცქიტიშვილი კოლინზმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 05:32 | ცქიტიშვილმა რაითი შეცვალა |
| 05:04 | ფოლი: 2 |
| 03:42 | სამქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 03:24 | სამქულიანი ტყორცნა: 5 ქ (52:36) |
| 02:30 | სამქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 02:22 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 02:15 | ორქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 01:30 | პასი: 2 (ბალოკი, 2 ქ. 58:42) |
| 00:41 | საჯარიმოები: 2/2 (62:44) |
| 00:24 | ზემოდან გდება: 9 ქ (64:44) |
| **III მეოთხედი** | |
| 06:45 | ცქიტიშვილმა ფრეიე შეცვალა |
| 05:53 | სამქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 05:21 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ქ (77:54) |
| 04:43 | ფოლი: 3 |
| 03:56 | პასი: 3 (სამპტერი, 3 ქ. 80:60) |
| 01:00 | შეცდომა: 2 (არაზუსტი პასი) |
| 01:00 | ფოლი: 4 |
| **IV მეოთხედი** | |
| 04:40 | ცქიტიშვილმა მაკკოი შეცვალა |
| 04:39 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 04:45 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 04:25 | საჯარიმოები: 2/1 (97:84) |
| 02:27 | ფოლი: 5 |
| 02:27 | შეცდომა: 3 |
| 01:19 | სამქულიანი ტყორცნა (არაზუსტი) |
| 00:49 | ორქულიანი ტყორცნა: 14 ქ (105:97) |
| 00:49 | მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3) |
| 00:02 | შეცდომა: 4 |
| 00:02 | მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4) |

ვაჟა სიმონიშვილი



ფარიკაობა

## მხოლოდ ალბრეხტი

2-7 ივლისს, ბელგიურმა გენტმა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. იქ ერთადერთი ქართველი მონაწილეობდა: დაშნით მოფარიკავეთა ინდივიდუალურ ასპარეზობაში **ანზორ ალბრეხტმა** 108 მონაწილეს შორის საბოლოოდ 98-ე ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, სხვა ქართველ მოფარიკავეებს კონტინენტის პირველობაზე მონაწილეობა არ მიუღიათ. გუნდურ პირველობაში, ვაჟებს შორის, სხვადასხვა დისციპლინაში გერმანიის, საფრანგეთისა და უნგრეთის ნაკრებებმა გაიმარჯვეს.

სუმო

## კოკაის პირველი მარცხი

იაპონიის ქალაქ ნაგოიას ბაშოზე, ტურნირის მეორე დღეს, პირველი მარცხი განიცადა დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)**. მან მეათე მაეგაშირა **პოკუტორიკისთან** დათმო ორთაბრძოლა. კოკაიმ მძლავრად დაიწყო, თუმცა მეტოქის მანევრი გამოეპარა - როცა იაპონელი მარჯვნივ გადახტა, ქართველმა თავი ველარ შეიკავა და დოჰიოზე დაეცა. ბაშოს პირველი რიკიში დააკლდა ტრავმის გამო: ესტონელმა **ბარუტომ** პირველივე დღეს მარცხენა მუხლი დაიზიანა და ექიმთა დასკვნით, თვენახევარი დასვენება მოუწევს. ქვედა დივიზიონში მოასპარეზე ქართველები გუშინ ისვენებდნენ.

**ნაგოიას ბაშო**

**ივლისის სუპერტურნირი. 8-22 ივლისი**

II დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-პოკუტორიკი 0:1 (პიკიოტოში), ჰაკუჰო-დეჯიმა 1:0, ასაშორიუ-ვაკანოსატო 1:0, ჩიოტაიკაი-ამინიშიკი 1:0, კოტოოშუ-ტოკიტენკუ 1:0, ასასეკირიუ-კაიო 1:0, კოტოშოგიკუ-ამა 1:0, კოტომიცუკი-ტაკეკაძე 1:0, როპო-ტოიონოშიმა 1:0, ტაკამისაკარი-მიაბიამა 1:0, კისენოსატო-ტამანოშიმა 1:0, ტოჩიოძანი-პომაშო 1:0.

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ფუტენო, ასაშორიუ-დეჯიმა, ჰაკუპო-ვაკანოსატო, კოტოოშუ-ტაკეკაძე, კაიო-ამინიშიკი, ჩიოტაიკაი-როჰო, კოტომიცუკი-ასასეკირიუ, ამა-ტოკიტენკუ, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, ტაკამისაკარი-პომაშო, ტოჩიოძანი-მიაბიამა, როუო-კისენოსატო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## თარიღი

**ჩოჩიშვილი შოთა.** დაიბადა 10.07.1950, ღვლევი, ქარელი. ძიუდო (93 და 95 კგ). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1975), ევროპის ჩემპიონატის სამგზის მეორე (1973, 74, 75) და მესამე (1977) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1974, 77) და ორგზის მესამე (1974, 75) პრიზიორი. ჰოლანდიის (1974), იაპონიისა (1971, 74) და ბელგიის (1973) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. საქართველოს ორგზის აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1972, 77). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

**დიასამიძე შალვა.** 10.07.1912, თბილისი - 07.05.1974, იქვე. კალათბურთი. თამაშობდა თბილისის უნივერსიტეტის გუნდში (1929-32), ""მედსანტრუდსა" (1933-35) და "ნაუკაში" (1936-40). იყო თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი (1947-49). მისი ხელმძღვანელობით "დინამომ" მოიგო სსრკ თასი (1949), სსრკ ჩემპიონატებში გავიდა მეორე (1947) და მესამე (1948) საპრიზო ადგილებზე. სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. თსუ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე 1943-47 წლებში.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## რაგბი



ნიკოლა ფულკიე და მალხაზ ჭეიშვილი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ნაკრები

### დააგვიანე? ირბინე ტრიბუნებზე!

ფულკიეს ჯოჯოხეთური დატვირთვები

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები მსოფლიო თასისთვის სამზადის შეუდგა. "ბორჯღალოსნები" "შერატონ მეტეხი პალასში" დაბანაკდნენ. ისინი დღეში ორჯერად წვრთნას გადიან. გუშინ დილიდან ჩვენმა მორაგბეებმა "შევარდენის" სარაგბო სტადიონის ტრენაჟორებზე ივარჯიშეს. საღამოს კი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს მიაშურეს. როგორც ვიუწყებოდით, მზადების ეს ეტაპი მთლიანად ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმობა. ფრანგი ფიტნეს-მწვრთნელი, როგორც ჩანს, მართლაც ძლიერი სპეციალისტია. **ნიკოლა ფულკიემ** ბიჭები საათისა და ათი წუთის განმავლობაში ჯოჯოხეთური დატვირთვით ავარჯიშა. თუმცა ეს ვარჯიში შინაარსობრივად იმდენად საინტერესო იყო, რომ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, მორაგბეები მითითებებს მაინც ხალისით ასრულებდნენ.

ნაკრების მწვრთნელებმა შეკრებაზე 37 მორაგბეს უხმეს. გუშინ მხოლოდ 33-მა ივარჯიშა. **ირაკლი გიორგაძე, პალიკო ჯიმშელაძე, გიორგი კაჭარავა** და **შალვა სუთიაშვილი** გუნდს დღეს შეუერთდებიან. ცოდნასთან ერთად, ფულკიემ გარკვეულწილად სიმკაცრეც გამოიჩინა. ვარჯიშის დასრულებისთანავე, როცა ყველა ისვენებდა, ვარჯიშზე დაგვიანებისთვის **ირაკლი მაჩხანელი, მალხაზ ურჯუკაშვილი** და **ბიძინა სამხარაძე** დამატებით ტრიბუნებზე არბენინა.

**ნიკოლა ფულკიე**, საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი: *"დღეს პირველი ვარჯიში იყო და რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. ამ მორაგბეებიდან ნახევართან რუმინეთში უკვე ვიმუშავე. ყველა მათგანი მონდომებით, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს. ეს გასაგებიცაა, რადგან მათ დიდი მოტივაცია აქვთ. მსოფლიოს თასზე თამაში, თანაც ღირსეულად, ყველას სურს".*

**მალხაზ ჭეიშვილი**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: *"რამდენად სარგებლიანია ეს ვარჯიშები, ამ ეტაპზე ამის თქმა ძნელია. ყველაფერს დრო და გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები დაგვანახვებს".*

**ბესიკ ჯანგავაძე**

სამი ერის პირველობა

### გრეგანი და ლარქემი გააცილეს

სამი ერის პირველობას, ისევე, როგორც ბევრ წლევანდელ სარაგბო ტურნირს, შემოდგომით საფრანგეთში გასამართმა მსოფლიო თასმა დაასვა დაღი. ასე მაგალითად, ამ უქმეებზე მწვანე კონტინენტს სამხრეთი აფრიკის ნაკრები ისეთი შემადგენლობით ეწვია, მიმომხილველებმა უმალ რეზერვად მონათლეს. მიუხედავად ამისა, "ქურციკებმა" მაგრად დაიწყეს და კინაღამ ნაკრებიდან გაცილება ჩაუშხამეს "ვოლაბთა" ორ დამსახურებულ მორაგბეს - **ჯორჯ გრეგანსა** და **სტივენ ლარქემს**. სიდნეიში, პირველი 15 წუთის შემდეგ სტუმრები 17:0-ს იგებდნენ. პირველი შანსი "ქურციკებს" მიეცათ, მაგრამ მათმა დამრტყმელმა **ჰუხარდმა** ჯარიმა ძელს გაარტყა. მალე, **გარი ბოთას** პასით, ლელო **ჟიკუს ფანჰირდენმა** გაიტანა. ცოტა ხანში **ბრეიტონ პოლსემ** მეტოქეს ბურთი ჩაუჭრა და საკუთარი ნახევრიდან ლელომდე ირბინა. ჰუხარდმა, როგორც იქნა, გაიტანა, თუმცა იქვე ხელსაყრელი საჯარიმო გააცუდა. ამის შემდეგ, უკვე ავსტრალიელთა ჯერი დადგა. "ვოლაბებმა" სამი უპასუხო ლელო გაიტანეს. მეორე ტაიმში აფრიკელები ორჯერ იყვნენ კაცნაკლულნი...

გულშემატკივრებმა ნაკრებიდან გააცილეს 34 წლის ჯორჯ გრეგანი, რომელმაც 133-ე კეპი მოიხვეჭა, და 33 წლის სტივენ ლარქემი, ვისთვისაც ეს მე-100 საიუბილეო კეპი იყო. ამასთან, ლარქემი თავადაც იუბილარი იყო. მსოფლიო თასის შემდეგ, ორივე ევროპაში მიდის სათამაშოდ და ნაკრებშიც, მსოფლიო თასის მერე, აღარ ითამაშებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**სამი ერის პირველობა**

**ავსტრალია-სამხ. აფრიკა 25:17**

ავსტრალია: 3ლ (ჯერარდი, ჰოილსი, გიტო), 2გ და 2 ს (მორტლოკი)

აფრიკა: 2ლ (ფანჰირდენი, პოლსე), 2გ. და ს. (ჰუხარდი)

| | მ | წ | სხვ | ბ/ქ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 1 | 64-54 | 1 | 9 |
| ზელანდია | 1 | 1 | 41-41 | 1 | 5 |
| აფრიკა | 1 | 2 | 60-70 | 1 | 5 |

**14 ივლისი**

ახ. ზელანდია-სამხ. აფრიკა

**21 ივლისი**

ახ. ზელანდია-ავსტრალია

## ჩოგბურთი

### ბიელის ბადისთვის

იტალიის ქალაქ ბიელაში, **მაკა ჩახნაშვილი** 100-ათასიან ტურნირში ცდის ბედს. ქართველი ჩოგბურთელი საკვალიფიკაციო წრეში პირველ ნომრადაა განთესილი. მაკა პირველ საკვალიფიკაციო წრეში ისვენებდა, მეორეში კი მან იტალიელ **ანდრეა ვაიდეანუს** (687) მოუგო - 6:2, 6:0. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ჩახნაშვილის მეტოქე ბელარუსი **დარია კუსტავაა** (197). ტურნირზე ისეთი სიტუაციაა, შესაძლოა, ამ მატჩის წაგებულიც ძირითად ბადეში გავიდეს, როგორც "იღბლიანი დამარცხებული". ჩახნაშვილი და კუსტავა უკვე მეექვსედ ხვდებიან ერთმანეთს და ერთი შემთხვევის გარდა (2005 წელს), მაკა მუდმივად იგებს, მათ შორის, ახლახან, პადოვის ტურნირშიც, რომლის ტიტულიც ჩახნაშვილმა მოიპოვა. ბელარუსი ჩოგბურთელი მან მერვედფინალის სამ სეტში დაამარცხა. ბიელაში ჩახნაშვილი წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეშია. ამჯერად, მისი პარტნიორი რუსი **ეკატერინა მაკაროვაა**.

### დევიძე მელიქიშვილის წინააღმდეგ?

ამერიკის ქალაქ ბოსტონში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. სწორედ ამ ტურნირში ბრუნდება 17 წლის **ანა ტატიშვილი**, რომელიც თვენახევარია, არსად გამოჩენილა. ანას ტრავმა არ ჰქონია, ის უბრალოდ ვარჯიშობდა. კიდევ ორი ქართველი ბოსტონის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეშია. **სალომე დევიძემ** 6:3, 6:2 დაამარცხა "უაილდ ქარდით" მიწვეული ამერიკელი **კიტ კარსონი** (796) და ახლა კიდევ ერთ ამერიკელს, **ჯენიფერ თაჩბენდს** (494) ეთამაშება. **სოფიო მელიქიშვილმა** პირველ წრეში მე-2 ნომრად განთესილ ავსტრიელ **ანა ბარტენშტაინს** (402) აჯობა - 6:2, 6:3 და ახლა ახალზელანდიელ **შონა ლის** (684) შეხვდება. თუკი ჩვენებურები მეორე წრესაც გადალახავენ, ისინი ერთმანეთს ფინალურ რაუნდში ძირითადი ბადის საგზურს შეეცილებიან. ეს კი აქამდე ერთხელ მომხდარა: 2005 წელს, ამერიკაში, სალომემ სოფიოს 6:3, 6:7, 6:3 მოუგო.

### ითონიშვილი ვეტერანი არგენტინელის წინააღმდეგ

იტალიის ქალაქ კარპიში, 19 წლის ჩოგბურთელმა **ნოდარ ითონიშვილმა** პროგრამა-მინიმუმი წარმატებით შეასრულა: მან 10-ათასიანი ტურნირის ძირითადი ბადის საგზური მოიპოვა. ითონიშვილი საკვალიფიკაციო ტურნირში მეხუთე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში ქართველი იტალიელ **ნიკოლა რემედის** შეხვდა და 6:3, 6:1 მოუგო. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ითონიშვილმა იტალიელი **მატეო მაური** დაამარცხა - 6:3, 6:3. ტურნირის ძირითად ბადეში, პირველ წრეში, ნოდარი მე-5 ნომრად განთესილ არგენტინელ **მარსელო კარპენტიერს** (676) შეხვდება. კარპენტიერი 34 წლისაა. 90-იანი წლების ბოლოს, კარიერის ზენიტში ის მოწინავე ასეულის (114, კარიერის შედეგი) სიახლოვეს იყო. კარპის ტურნირის წყვილთა თანრიგში ითონიშვილი ხორვატ **ალბერტ ლონკარიჩთან** დუეტში თამაშობს.

### ჩახნაშვილი წინ მძიმედ მიდის, ლაბაძეს რეიტინგი არ შეუნარჩუნდა

გუშინ, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, WTA-ს და ATP-ის ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. ქალთა სიაში 24 წლის **მაკა ჩახნაშვილი** 145-ე ნომერია. მაკამ ორი საფეხურით წაიწია წინ. ჩახნაშვილს 226 სარეიტინგო ქულა აქვს. ეს შედეგი არ არის მაკასთვის საუკეთესო მაჩვენებელი - 2006 წლის დეკემბერში ქართველი მსოფლიოს 138-ე ჩოგანი იყო. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალს კარიერაში 114 ათასი დოლარი აქვს ნაშოვნი, წლეულს კი მისი მონაგარი მხოლოდ 25 ათასი დოლარია. იტალიურ კუნეოში ჩახნაშვილმა წყვილთა თანრიგის ფინალს უწია, რაც უმალ აისახა მის რეიტინგზე წყვილთა შორის - მაკა 150-ე ადგილზეა, რაც კარიერის საუკეთესო შედეგია. WTA-ს წლის რბოლაში ის 175-ე პოზიციაზეა.

17 წლის **ანა ტატიშვილს** 52 ქულა აქვს. ანა მსოფლიოს 385-ე ჩოგანია, რაც ორი კვირის წინანდელს სამი ადგილით სჯობს. წლის რბოლაში ტატიშვილი 219-ე ადგილზეა. ანას კარიერის მონაგარი ჯერჯერობით 45 ათასი დოლარია (წლეულს 15 ათასი). 18 წლის **სოფიო შაფათავას** 21 ქულა აქვს და მსოფლიოს 615-ე ჩოგანია, რაც წინა შედეგს 14 ადგილით სჯობს და, ამასთანავე, კარიერის საუკეთესო მიღწევაცაა. წლის რბოლაში სოფიო კიდევ უფრო წინაა: 308-ე.

ამ სამეულის გარდა, რეიტინგში კიდევ ათი ჩვენებურია: 645 (-27). **სალომე დევიძე** - 19 ქულა; 667 (-11). **სოფიო მელიქიშვილი** - 17; 740 (+3). **მანანა შაფაქიძე** - 14; 773 (+6). **ოქსანა კალაშნიკოვა** - 12.5; 783 (+7). **ეკა გორგოძე** - 12; 954 (+6). **სოფიო ქვაცაბაია** - 7; 1063 (+11). **თინათინ ყავლაშვილი** - 5; 1086 (+8). **სალომე ჩაჩხუნაშვილი** - 4.7; 1266 (+12). **მარიამ ქურდაძე** - 2.7; 1291 (+13). **თეონა ცერცვაძე** - 2.5. დღევანდელი მდგომარეობა კარიერის მიღწევაა სოფიო ქვაცაბაიასთვის, სალომე ჩაჩხუნაშვილისა და მარიამ ქურდაძისთვის.

ვაჟთა რეიტინგში **ირაკლი ლაბაძეს** შარშანდელ უიმბლდონზე მოპოვებული 165 ქულა მოაკლდა და ცაცია ქართველმა ამით ერთბაშად 603 (!) საფეხური დაკარგა, რის შედეგადაც საქართველოს პირველი ჩოგნის სტატუსიც აღარ აქვს. არადა, **ლადო ჩიხლაძემაც** გვარიანად დაიხია უკან. ლადოს 42 ქულა აქვს. ის მსოფლიოს 547-ე ჩოგანია. ორი კვირის წინათ, ჩიხლაძე რეიტინგში 69 საფეხურით მაღლა იყო. ირაკლი ლაბაძეს მხოლოდ 15 სარეიტინგო ქულა აქვს. ის მისთვის შეუფერებელ 823-ე პოზიციაზეა. **ნოდარ ითონიშვილი** 1335-ეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მშვილდოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი

### ქართველები ფლეი ოფში

გერმანულ ლაიპციგში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში ქალთა ასპარეზობის ჯერიც დადგა. გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა და ქართველებმა საკმაო წარმატებითაც ისროლეს. ჩვენი გუნდის ლიდერები, **ხათუნა ნარიმანიძე** და **ქრისტინე ესებუა**, ტრადიციულად, ისევ ერთმანეთის ახლოს ტრიალებენ და მცირე უპირატესობა ამჯერადაც ნარიმანიძის მხარესაა. ხათუნა 1309 ქულით 36-ეა და ზუსტად ორი ქულით და ორი ადგილით უსწრებს ესებუას. ქრისტინეს ამ 38-ე ადგილს თანაბარქულიანები, ესპანელი **ალმუდენა გალარდო** და თურქი **ბეგულ ლუკლუოღლუ** ეცილებოდნენ, მაგრამ ჩვენებურმა მათ დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა. მესამე ქართველი **ასმათ დიასამიძე** 1276 ქულით 67-ეა. შეიძლება ითქვას, ის ფლეი ოფში ახალმა წესმა გაიყვანა: ამჯერად, 128 მონაწილე გადის, თორემ ადრინდელივით 64 რომ ყოფილიყო, ვერ მოხვდებოდა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ სხვა გუნდებში ახლა მხოლოდ ერთი ქართველია: **ნატო ნასარიძე** თურქეთის ღირსებას იცავს. ნასარიძე მისთვის შეუფერებელი 1295 ქულით 49-ეა. ამჯერად, ვერც **ხათუნა ქვრივიშვილი (ლორიგი)** მოხვდა აშშ-ის გუნდში და ვერც **იულია ლობჟანიძე** უკრაინისაში.

ეს ტურნირი პეკინის ოლიმპიადის 40 საგზურსაც იძლევა და მის სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია. ლაიპციგში პლანეტის ყველა უძლიერესი მშვილდოსანი შეიკრიბა. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩემპიონატი აზიელთა ტრადიციული უპირატესობით მიმდინარეობს. ათეულში ევროპელებიც ბევრნი არიან. თუმცა საკვალიფიკაციო ეტაპი მაინც აზიელმა მოიგო და დიდი უპირატესობითაც: სამხრეთკორეელმა მსოფლიო ჩემპიონმა **სუნ-ჰუნ პარკმა** 1385 ქულა დააგროვა. მეორეზე იტალიელთა მოლდოველი რძალი, ევროპის ჩემპიონი **ნატალია ვალეევაა** 1369-ით. ათეულში კორეელი ეუნ **იოუნ ჩოი** (1365), იაპონელი **ნამი ჰაიკავა** (1357), ფრანგი **ბერენჟე შუ** (1356), ტაივანელი **სიაო ჩუნ შენი** (1353), ჩინელი **იუან იუან ჟანგი** (1353), ბრიტანელი **ნაომი ფოლკარდი** (1346), პოლონელი **იუსტინე მოსპინეკი** (1345) და კორეელი **ტუკ იუნ ლი** (1342) შევიდნენ ასეთივე თანმიმდევრობით.

როგორც ვხედავთ, საკვალიფიკაციო ეტაპი კორეელთა სრული ტრიუმფით წარიმართა, ცოტა გასაკვირია ჩინელთა ნაფორხილება და ასევე, რუსთა უგერგილობაც: **ტატიანა ბორროდაი** და **ნატალია ერდენიევა** მხოლოდ მე-13-14 ადგილებს იყოფენ. მაგრამ ნამდვილი შეჯიბრება ხომ ფლეი ოფებიდან იწყება და ჩვენც დაველოდოთ ამ სტადიას.

ქალთა ფლეი ოფები 12 ივლისს იწყება, მედალოსნები კი 15-ში გამოვლინდებიან. ნარიმანიძე პირველ წრეში 1249-ქულიან ბელგიელ **სილვია გეისკენს** (93-ე ადგილი შესარჩევში) შეხვდება, რომლის ძლევაც ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს. ამ წყვილში გამარჯვებულს მეორე წრეში იტალიელ **პია კარმენ ლიონეტსა** და ბელგიელ **კიმ ვერჰოევენს** შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. თუმცა ამ დუეტში იტალიელი აშკარა ფავორიტია და ის ჩვენებურისთვისაც საშიშია. შეგახსენებთ, რომ ნარიმანიძე, წლეულს, მასთან იტალიაში (ვარეზეს მსოფლიო თასი) დამარცხდა.

პირველი წრის გავლა არც ესებუას უნდა გაუჭირდეს. 1250-იანი და შესარჩევში 91-ე კვიპროსელი **ელენა მუსიკუ** იოლი ლუკმა ჩანს, მეორეში კი რუს **ვიქტორია დუბანოვასა** და ლატვიელ **იევა გიპარსონეს** შორის მოგებულს შეხვდება. ამათგან, უფრო ძლიერი, ტურნირის დებიუტანტი რუსია.

დიასამიძის პირველი მეტოქე დაახლოებით მისივე დონის ავსტრიელი **იანა ვალერია**, რომელმაც საკვალიფიკაციო 1282 ქულით და 61-ე ადგილით გაასრულა. როგორც ვხედავთ, მათ შორის დიდი სხვაობა არაა და აქ ყველაფერს უფრო მტკიცე ნერვები გადაწყვეტს. დიასამიძისა და ნარიმანიძის გზები, საუკეთესო შემთხვევაში, მერვედფინალში გადაიკვეთება.

საკვალიფიკაციო ეტაპის მერე ის 16 ნაკრებიც გაირკვა, რომლებმაც გუნდურში გამოსვლის უფლება მოიპოვეს. ცხადია, პირველზე სამხრეთკორეელები გავიდნენ, ჩინებული მაჩვენებლით - 4092 ქულა. მეორეზე ჩინეთია 4013-ით, მესამე კი პოლონეთი 4003-ით. ჩვენები მეთოთხმეტეზე გავიდნენ 3892 ქულით და მერვედფინალში სწორედ პოლონელებს შეხვდებიან. ამ გუნდს ბედის საჩუქარს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ჩვენთვის მთავარი მაინც პირადი პირველობა და ლიცენზიებია.

**ირაკლი თავაძე**

ინტერვიუ ემზარ ზენაიშვილთან

# სოჭის გამარჯვება ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ინტერესებშიც შედის

4 ივლისს, გვატემალაში გაცხადდა, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები სოჭში გაიმართება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა, გამარჯვებულის გამოცხადებამდე გაკეთებულ მცირე მოხსენებაში, მადლობის სიტყვები უძღვნა ბორჯომსაც, რომელიც ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლას ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშა. რა თქმა უნდა, საქართველოს გამარჯვების შანსი არ ჰქონდა, რადგან ამას მარტო სურვილი არ განაპირობებს. აქ უამრავი ისეთი ფაქტორი (მათ შორის, პოლიტიკურიც) მოქმედებს, რაც ჩვენისთანა ქვეყანამ წლების განმავლობაში უნდა გაიაროს, ისწავლოს, დალვინდეს, საფუძვლიანად მოემზადოს... დაფიქრებად მარტო ისიც ღირს, რომ კორეულმა პიონჩანმა ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია და ეს იმ ფონზე, როცა 2014 წლისთვის ეს ქალაქი ახლავე მზადაა... მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ საქართველო ამ ბრძოლაში ჩაერთო და საერთაშორისო ოლიმპიურ ოჯახს საკუთარი თავი და ამბიციები გააცნო, თავისთავად დადებითი და სამომავლოდ დამაიმედებელი მოვლენაა. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა, ან თუნდაც საამისო პრეტენზიის გაცხადება, არ არის მხოლოდ ქართული სპორტული საზოგადოებრიობის საქმე, ეს გრანდიოზული სახელმწიფოებრივი მოვლენაა. რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური, გვატემალური ვიზიტიც ამის ნათელი დასტურია...

გვატემალაში გამართულ სესიას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილიც ესწრებოდა. ვფიქრობთ, უშუალო თვითმხილველის შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს "ლელოს" მკითხველი ინტერესით გაეცნობა...

**- ბატონო ემზარ, თავდაპირველად იმაზე, თუ რატომ ჩატარდა სოკ-ის სესია მაინც და მაინც შორეულ გვატემალაში?**

- გვატემალაში, მუდმივი გაზაფხულის ქვეყანაში, სოკ-ის სესიის ჩატარება კარგა ხნით ადრე იყო გადაწყვეტილი. ამის ინიციატორი გახლდათ სოკ-ის წევრი, ვილი კალტშმიტი, რომელიც ამ ქვეყნის ტურიზმის მინისტრია. სექტემბერში, გვატემალაში, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებია და სესია, რომელიც გასაგები მიზეზების გამო, საერთაშორისო საზოგადოებრიობის საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო, ქვეყნის ამჟამინდელი ხელმძღვანელობის იმიჯზე ნამდვილად პოზიტიურად იმოქმედებს. გვატემალის 14-მილიონიანი მოსახლეობიდან, ყოველი მეექვსე ამავე სახელის მქონე დედაქალაქში ცხოვრობს. სახელმწიფო ენა ესპანურია, რომელზეც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი საუბრობს. ისე კი, ქვეყანაში სულ 23 ენასა და დიალექტზე საუბრობენ. მოსახლეობის უმრავლესობას ინდიელთა შთამომავალნი შეადგენენ.

**- როგორი იყო სიტუაცია კენჭისყრამდე? განწყობა, პროგნოზები...**

- უნდა ითქვას, რომ სოჭის კანდიდატურის მიმართ თავიდანვე პესიმისტური განწყობა იყო. ზოგიერთს, ამ სამხრეთული ქალაქის აპლიკანტობიდან კანდიდატის სტატუსის მიღებისაც კი ეეჭვებოდა. მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და ფინიშთან სამივე პრეტენდენტი დაახლოებით თანაბარი შანსით მივიდა. სოკ-ის შემფასებელთა კომისიამაც კი ვერ გამოკვეთა აშკარა ფავორიტი. თუმცა ამ მრავალთეულგვერდიან დოკუმენტში მაინც ჩანს, რომ კორეულ და ავსტრიულ ქალაქებს ერთგვარი უპირატესობა აქვთ, მაგრამ არა გადამწყვეტი. ყველა გამოკითხვით თუ სპეციალისტთა მოსაზრებებით, 3 ივლისისთვის რამდენიმე ხმით უპირატესობა პიონჩანს ჰქონდა, მეორეზე კი სოჭი უნდა ყოფილიყო. ხმის უფლების მქონე სოკ-ის 97 წევრიდან, როგორც ამბობენ, თითქმის მეოთხედს, ანუ 18-20 კაცს, სესიის გახსნამდე ერთი-ორი დღით ადრე ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომელ ქალაქს დაუჭერდა მხარს და სწორედ ამ ხმებზე იყო ტაციაობა გვატემალაში. ამუშავდა უკანასკნელი რეზერვები, მათ შორის, კანდიდატი ქვეყნების პირველ პირთა დონეზეც კი. ფაქტობრივად, 24 საათის განმავლობაში იყო შეხვედრები, ჯგუფურიცა და ინდივიდუალურიც. მუშაობდა დიდი პოლიტიკა, საქმეში ჩაერთვნენ სოლიდური საერთაშორისო გავლენის მქონე პიროვნებებიც... რუსების დელეგაციაში ათას კაცამდე იყო, კორეელებისაში სამჯერ მეტიც, შედარებით მოკრძალებული იყო ზალცბურგის დელეგაცია. სოკ-ის სესია და ამ სტრუქტურის ალმასკომის სხდომები გვერდიგვერდ განლაგებულ ორ სასტუმროში იმართებოდა. მათ შორის კი, რუსებმა შეძლეს მოეწყოთ ეგრეთ წოდებული "რუსული სახლი" რესტორნითა, ბარებით, ეკიპირების ცენტრით და საკმაოდ მოზრდილი ყინულის მოედნით. საჩვენებელი გამოსვლები ჰქონდათ ევგენი პლიუშჩენკოს, ჰოკეის თამაშობდნენ ტრეტიაკი, ფეტისოვი. სანკტ-პეტერბურგის ცნობილი კოლექტივი "ბალეტი ყინულზე" წარმოდგენებს მართავდა. ასეულობით გვატემალელი ბავშვი, მოსწავლე თუ სტუდენტი იდგა რიგში, რათა მიეღოთ ოლიმპიური ჩემპიონების, სვეტლანა ჟუროვასა და ევგენი პლიუშჩენკოს ფოტოები მათივე ავტოგრაფებით...



ევგენი პლიუშჩენკო და ემზარ ზენაიშვილი გვატემალაში

**- და მაინც, რამ განაპირობა სოჭის გამარჯვება?**

- მრავალ კომპონენტთა ერთობლიობამ. რუსებმა სააპლიკანტო საგანაცხადო ჯგუფი 2005 წლის ბოლოს შეცვალეს. საგანაცხადო კომიტეტის თავმჯდომარედ რეკომენდაცია გაეწია სპორტში უცხო კაცს, დიმიტრი ჩერნიშენკოს, რუსეთის ერთ-ერთი წარმატებული სარეკლამო კომპანიის პრეზიდენტს. ფინანსური უზრუნველყოფა თავის თავზე აიღო ცნობილმა რუსმა ოლიგარქმა ალექსანდრ პოტანინმა, რომელსაც საგანაცხადო კომიტეტში წარმოადგენდა მისი მარჯვენა ხელი ელენა ანიკინა. მთელი საგანაცხადო ჯგუფის საქმიანობის კოორდინატორი იყო ვიცე-პრემიერი ალექსანდრ ჟუკოვი, სოჭი 2014-ის ფინანსურ პრობლემატიკაზე მუშაობდა სპეციალური ჯგუფი, რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრ გერმან გრეფის ხელმძღვანელობით. ჰყავდათ პროფესიონალთა პიარ-ჯგუფი, მოწვეულნი იყვნენ მაღალკვალიფიციური და გამოცდილი უცხოელი კონსულტანტები... საქმიანობის მრავალ მიმართულებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სოჭის უპირატესობაში დასარწმუნებელი მუშაობა სოკ-ის წევრებთან, იმ ექსპერტებთან, რომლებიც დასკვნებს აკეთებდნენ შემფასებელი კომისიისთვის, საერთაშორისო ფედერაციათა ხელმძღვანელებთან... სოჭი 2014-მა შესანიშნავად გაითვალისწინა მოსკოვი 2012-ის შეცდომები. მათ არ გააჩნდათ პრობლემები ფინანსებში და ჰქონდათ უზარმაზარი სახელმწიფო მხარდაჭერა. მოკლედ, რუსებმა შექმნეს მაღალკვალიფიციური და პროფესიული გუნდი, რომელსაც აძლიერებდნენ გამოცდილი უცხოელი კონსულტანტები, და როგორც თავად აღნიშნავდნენ, ჰყავდათ ამ გუნდის ისეთი კაპიტანი და ლიდერი, რომელმაც, ფაქტობრივად, გაამარჯვებინა სოჭს.

**- ალბათ, მხედველობაში გყავთ ვლადიმირ პუტინი...**

- რა თქმა უნდა. ყველა ანალიტიკოსი და ექსპერტი თანხმდება ერთ აზრზე - რომ არა პუტინის პირადი დაინტერესება, მხარდაჭერა და დიდი დახმარება, სოჭიც მოსკოვის ბედს გაიზიარებდა. გახსოვთ, ალბათ, მოსკოვი 2012 მარტო იური ლუჟკოვის ინიციატივად, ანუ ქალაქის დონეზე დარჩა. პუტინმა ჯერ კიდევ სესიამდე ჩაატარა დიდი სამუშაო. ის რამდენჯერმე შეხვდა სოკ-ის ხელმძღვანელობას, საერთაშორისო ფედერაციების თავკაცებს, მათ შორის, სოჭშიც. მათთან ერთად სადილობდა და ვახშმობდა, სეირნობდა თხილამურებზე. მისი ინიციატივით, დსთ-სა და შავი ზღვის ქვეყნების აუზის ეკონომიკურმა სამიტებმა მხარი სწორედ სოჭს დაუჭირეს. დარწმუნებული ვარ, ოლიმპიური თემატიკის გარეშე არ ჩაივლიდა რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა აშშ-ს ხელმძღვანელობასთან, საიდანაც ის პირდაპირ ჩავიდა გვატემალაში. ინტენსიური შეხვედრები ჰქონდა პუტინს თავად სესიის წინა დღესაც. 2005 წელს, სინგაპურში, დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერის ტონი ბლერის გამოცდილების შესაბამისად, გვატემალაში სესიის წინა დღეს პუტინი ინდივიდუალურად შეხვდა სოკ-ის 20-მდე წევრს. მას ინგლისურ ენაზე ჰქონდა საკმაოდ საინტერესო, ემოციური გამოსვლა სოკ-ის სესიაზე, რომელიც ფრანგულად დაამთავრა და ამით ერთგვარი ხარკი გაიღო მსოფლიო ოლიმპიური ოჯახის მეორე ოფიციალური ენის მიმართ. კენჭისყრის წინა საღამოს რუსეთის პრეზიდენტი სოჭი 2014-ის მთავარი დამრტყმელი ძალა, "რუსულ სახლს" ეწვია. აქაც და მეორე დღეს, სესიაზე გამოსვლისას, ის გამარჯვებაში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა... სხვათა შორის, კენჭისყრის პირველ ტურში ელოდნენ, რომ ზალცბურგი 15-17 ხმაზე მეტს ვერ მიიღებდა. ბევრისთვის, ავსტრიელთა 25 ხმა მოულოდნელი იყო. როგორც კენჭისყრის მეორე ტურმა აჩვენა, მათი ხმების უმრავლესობა სოჭისკენ წავიდა, ანუ ევროპელთა დიდმა ნაწილმა არჩევანი რუსეთის ქალაქზე შეაჩერა. არადა, პიონჩანის დამარცხება მართლაც ძნელი იყო. წარმოიდგინეთ, კორეის ამ ქალაქის საპრეზენტაციო ჯგუფში, ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად, იყო სოკ-ის წევრი კუნ ჰი ლი, რომელიც ამავდროულად კომპანია "სამსუნგის" პრეზიდენტიცაა. "სამსუნგი" კი, თავის მხრივ, სოკ-ის ერთ-ერთი მთავარი სპონსორია. სიტყვამ მოიტანა და, არ გამოვრიცხავ, ახლო მომავალში სოკ-ის ერთ-ერთ მთავარ სპონსორად რომელიმე მსხვილი რუსული კომპანია მოგვევლინოს.

**- რამდენად მნიშვნელოვანი იყო უცხოელ კონსულტანტთა თუ ექსპერტთა როლი?**

- ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, რუსებთან მუშაობდა ის ჯგუფი, რომელმაც, როგორც ამბობენ, 2005 წელს ლონდონს გრანდებთან ჭიდილში გაამარჯვებინა. სხვათა შორის, სოჭის გუნდში იყო ამერიკელი ტერენსი, რომელთანაც, თავის დროზე, მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბორჯომი 2014-ის საგანაცხადო კომიტეტის კონსულტანტობის თაობაზე. ის თბილისშიც იყო და ბაკურიანშიც. თუმცა თანამშრომლობა ვერ შედგა. უცხოელები მონაწილეობდნენ სოჭის საგანაცხადო კონცეფციის შედგენაში, სტრატეგიის განსაზღვრაში... მათ აიღეს თავის თავზე გვატემალაში პრეზენტაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. პრეზენტაციას ჰყავდა ინგლისელი პროდიუსერი, ტექსტების შედგენაზე მუშაობდა სამი უცხოელი და ოთხი რუსი ექსპერტი, იყო ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი, მეტყველებისა და უცხო ენის სპეციალისტები, ჩაცმულობასა და ვიზუალურ მხარეზე დამკვირვებლები და ასე შემდეგ. ეს ჯგუფი სესიამდე ერთი კვირით ადრე შეიკრიბა გვატემალის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ისტორიულ ქალაქ ანტიგუაში, სადაც მშვიდ და წყნარ გარემოში, ყოველდღე, 12-14 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა რეპეტიციები. გენერალური რეპეტიცია კი, უკვე თავად პუტინის მონაწილეობით, 3 ივლისს გაიმართა.

**- სოჭის გამარჯვება და ბორჯომის პერსპექტივა. რას იტყოდით ამ საკითხზე?**

- პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სოჭს მხარს უჭერდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მან ეს არაერთხელ დააფიქსირა კიდეც. ვფიქრობ, ქართული სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ინტერესებში სოჭის გამარჯვება უფროა, ვიდრე სხვა ქალაქების. იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დარეგულირდება. ეს, პირველ რიგში, რუსეთის ინტერესებში უნდა შედიოდეს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში უნდა მოგვარდეს აფხაზეთის საკითხიც. ამ გადასახედიდან, როცა მეზობელ ქვეყანაში, შენი საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში იმართება ოლიმპიური თამაშები, ეს მისასალმებელია. შესაძლებლობა მოგვეცემა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ივარჯიშონ და თავიანთი ოსტატობა დახვეწონ თანამედროვე სპორტულ არენებზე. კიდევ ვიმეორებ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირების შემთხვევაში, ბევრ ჩვენს თანამემამულეს - სპეციალისტებს, ინჟინრებს, არქიტექტორებს, სამშენებლო საქმის ოსტატებს სამუშაო გამოუჩნდებათ ოლიპიურ ობიექტებზე. სოჭის გამოცდილების შემოქმედებითად გაზიარება და გადმოტანა ხელს შეუწყობს მომავალში ბორჯომის საოლიმპიადო ამბიციების განხორციელებას. უნდა შევძლოთ, რომ მომავალი საორგანიზაციო კომიტეტის მრავალასეულიან ინტერნაციონალურ კოლექტივში რამდენიმე ჩვენი თანამემამულეც საქმიანობდეს.

**- მაგრამ არის ასეთი აზრიც, რომ სოჭის გამარჯვებამ შორეულ მომავალში გადასწია ბორჯომის საოლიმპიადო პერსპექტივა. ასეა?**

- განა იყო იმის შანსი, რომ ბორჯომი დღეს ან ხვალ მიიღებდა თამაშებს? მოდით, ვიყოთ რეალისტები: მინიმუმ რამდენიმე ათეული წელიწადია კიდევ საჭირო იმისთვის, რომ ბორჯომის კანდიდატურა სერიოზულად განიხილონ. და ეს მხოლოდ იმ პირობებში, თუ ქვეყანა განვითარდება ეკონომიკურად, განვითარდება ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, აღარ იქნება კონფლიქტური კერები... რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარდება. უნდა აშენდეს სპორტული არენები, ჩატარდეს კონტინენტური თუ მსოფლიო რანგის შეჯიბრებები, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად უნდა გვყავდეს მაღალი დონის სპორტსმენები ზამთრის სახეობებში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ვფიქრობ, ამ პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებაში სოჭის დახმარება და მისი გამოცდილებისა თუ შესაძლებლობების გამოყენება გვმართებს.

**- სესიაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს: ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები...**

- დიახ, მწვანე შუქი აუნთეს ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს. ასეთი თამაშების გამოცდილება ევროპას უკვე აქვს. 1998 წელს, სოკ-ის პატრონაჟით, მოსკოვში ჩატარდა მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები. 2010 წლიდან კი ოლიმპიზმის ისტორიაში ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების პირველი ფურცელიც ჩაიწერება. ყველა ქვეყნის 3200 სპორტსმენი იასპარეზებს სპორტის ყველა ოლიმპიურ სახეობაში... ბუნებრივია, შეკვეცილი დისციპლინებით. თამაშებზე დაშვების სისტემა იქნება ისეთივე, როგორიც დღეს არის, ანუ შესარჩევი ტურნირების მეშვეობით. თუმცა ყველა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც კვალიფიკაციას ვერ გაივლის, მიეცემა საშუალება, იასპარეზოს ოთხი სპორტსმენით მაინც. წლის ბოლომდე გვეცოდინება იმ ქალაქის ვინაობა, რომელიც 2010 წელს უმასპინძლებს ახალგაზრდებს სპორტის ზაფხულის სახეობებში.

ესაუბრა
კახა ბერიძე

# ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ ხელშეწყობა იყოს...



დახვედრა ბათუმში

ავტორის ფოტო

შავი ზღვის აუზის ქვეყნების თამაშები, რომ პირველი საერთაშორისო სპორტული კომპლექსური ასპარეზობა იყო, სადაც საქართველოს სპორტული დელეგაცია ყველაზე მრავალრიცხოვანი შემადგენლობით მონაწილეობდა, ტრაბზონიდან ჩვენი წერილების დასაწყისშივე ვწერდით. ახლა, როცა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა თამაშები, ვაცხადებთ: ეს იყო ასევე პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს სპორტსმენებმა ერთ საერთაშორისო კომპლექსურ ასპარეზობაში სამ ათეულზე მეტი მედალი მოიპოვეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა (თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**), ყველაფერი გააკეთა შესაბამის სპორტულ ფედერაციებთან ერთად ნაკრები გუნდების ოპტიმალური შემადგენლობით დასაკომპლექტებლად. რომ არა, ერთიანი ეროვნული გამოცდების დამთხვევა, ჩვენი გუნდები გაცილებით ძლიერი შემადგენლობით ჩავიდოდნენ ტრაბზონში საასპარეზოდ. ადრე ვწერდით და გავიმეორებთ, რომ სხვა ქვეყნებს ასეთი პრობლემა არ შექმნიათ, რადგან მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში ტრადიციული მეთოდით ტარდება.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ თამაშების შედეგებმა აშკარად გადააჭარბა მოლოდინს. სპორტში პროგნოზები ბოლომდე ლოგიკური არასდროს არის, მაგრამ ჩვენი სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ შემცდარან შეგირდების არჩევანში. ეგ კია, რამდენიმე სპორტსმენმა, ყველასთვის მოულოდნელად, მიუხედავად გამოუცდელობისა, ნამდვილი მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და თავანეულმა საპატიო კვარცხლბეკზე შედგა ფეხი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ძალიან ნიჭიერი, ლალი, უკომპლექსო თაობა აკაკუნებს დიდი სპორტის კარზე, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს. გასაოცარია მათი სწრაფვა გამარჯვებისკენ, არც პასუხისმგებლობა აკლიათ და არც დისციპლინაში მოიკოჭლებენ (ცხადია, თითო-ოროლა გამონაკლისი არ გვაქვს მხედველობაში).

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ საბოლოო შედეგებიდან? ჯერ ვთქვათ, ვინ გაგვისწრო საერთო გუნდურ ჩათვლაში. ეს ქვეყნებია რუსეთი, თურქეთი, საბერძნეთი, უკრაინა, რუმინეთი ანუ გავედით VI ადგილზე. ისტორიას არ ახსოვს, თუნდაც სსრკ ხალხთა ან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებზე (ბავშვებში ერთი გამონაკლისის გარდა, ისიც თბილისში, შორეულ წარსულში), რუსეთისთვის ან უკრაინისთვის გადაგვესწრო, თურქეთზე, რომელიც ახლა მასპინძელი იყო, არაფერს ვამბობთ. საბერძნეთისა და რუმინეთისთვის რატომ ან როგორ უნდა მოგვეგო? დიდი საქმეა, რომ აზერბაიჯანს გადავასწარით. თუ ვიტყვით, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, ჩვენზე დიდი ხნით ადრე აიყვანეს სპორტი სახელმწიფო რანგში და აწყობილი სისტემაც შეინარჩუნეს, ამიტომაც არ იქნებოდა გასაკვირი, მათაც რომ ეჯობათ.

იმის იმედს, რომ კარგი თაობა გვეზრდება, მოპოვებული მედლების რაოდენობა და კიდევ ის შემართება გვაძლევს, რაც ჩვენ ახალგაზრდა სპორტსმენებში დავინახეთ. ასე რომ, თავის მოტყუება იქნება თუ ცუდ სამსახურს გავუწევთ ქართულ სპორტს, თუ დასანახი არ დავინახეთ და დასაგმობი არ დავგმეთ. დიახ, ჩვენი სპორტის ახალგაზრდა თაობას კარგი მომავალი აქვს, მაგრამ პერსპექტივის რეალიზაციისთვის საჭირო აუცილებელი პირობები უნდა შევქმნათ. თორემ, აგერ ვართ ყველა, პეკინის ოლიმპიადის შემდეგ ქართულ სპორტს დალმასვლის დრო დაუდგება. კი, ვამბობთ, რომ დიდი იმედისმომცემი ცვლა მოდის, ქართული სპორტის ხვალინდელი დღის სახე იკვეთება, მაგრამ ახლა სპეციალისტებს ჰკითხეთ, ყველა შეშფოთებულია იმის გამო, რომ ბავშვთა სპორტულ სკოლებში გაურკვევლობაა, უქმდება თბილისი სპორტული სკოლა-ინტერნატი, ძველი სისტემა ინგრევა, ახალი ბუნდოვანია. განსაკუთრებით წუხან სკოლა-ინტერნატის ბედზე. იყო დრო (გასული საუკუნის 30-იანი წლები), როცა მსოფლიოში პირველი ასეთი პროფილის სასწავლებელი გაიხსნა თბილისში, მერე მოედო სსრ კავშირს და გასცდა მის ფარგლებსაც, შეაღწია სოცქვეყნებში. ბევრგან ინტერნატები შეინარჩუნეს, ჩვენ ვხურავთ. არადა, უამრავი ცნობილი სპორტსმენი აღიზარდა ჩვენში ასეთ სასწავლებელში. სულ ახალი ცნობა: ინდოეთში გაუხსნიათ სპორტული ტიპის ინტერნატი 300 მოსწავლეზე და სამუშაოდ მიუწვევიათ, ჩვენი ცნობილი სპეციალისტი, მოჭიდავეთა აღმზრდელი **ლადო მესტვირიშვილი**.

დავუბრუნდეთ ტრაბზონს. უდავოდ იმსახურებენ ქებას ჩვენი მოჭიდავეები, მძლეოსნები, ტაეკვონდოს და მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლები, რომელთა წილად მოდის მოპოვებული მედლების აბსოლუტური უმრავლესობა. მარტო იმედგაცრუება არ ჰქვია იმას, რითაც ფეხბურთელებისა და კალათბურთელების შედეგები შეიძლება შეფასდეს (თუმცა კალათბურთელები 2 წლით უფროსებს ეთამაშებოდნენ). სხვა საქმეა ფრენბურთი. საერთოდ, პირველად გავიდნენ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე ჩვენი გოგონებიდა თუმცა წააგეს, ნამდვილად ღირსეულად ითამაშეს სპორტის ამ სახეობის ევროპულ გრანდებთან. ველოსპორტზე კი ნამდვილად გვმართებს დაფიქრება. ცოდო არიან ბიჭები, რომლებიც არამოდური, მოძველებური, მეტოქეებისთვის და მსაჯებისთვის ღიმილისმომგვრელი ინვენტარით გამოდიან საასპარეზოდ.

"ლელოს" მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ იმ დაუნდობელი ბრძოლის შესახებ ასაკის გადაკეთებასთან დაკავშირებით, რაც შარშან ჩვენმა ეროვნულმა ფედერაციებმა წამოიწყეს. სიყალბეს წერტილი დაესვა. ახლა, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ჩვენი მეტოქეები საერთაშორისო სარბიელზე (გამონაკლისი არც ეს თამაშები ყოფილა) კვლავ გადაზრდილი სპორტსმენებით გვიპირისპირდებიან, ძნელი მისახვედრი არ არის ტრაბზონის სპორტულ ბაზებზე რა ატმოსფერო სუფევდა. მით უფრო საამაყოა თითოეული მედალი, რომელიც ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს, მეტწილად უთანასწორო პაექრობაში. მიუხედავად მაღალი რანგისა, საერთაშორისო შეჯიბრებაზე იშვიათი გამონაკლისი სულაც არ არის მიკერძოებული მსაჯობა. ხმამაღლა ვამბობთ: ტრაბზონში გამართული თამაშები იყო ნამდვილი ბედნიერი გამონაკლისი, როცა ფიცი, დადებული ასპარეზობების წინ, მსაჯებმა განუხრელად შეასრულეს, ხოლო თუ ერთი-ორი ეპიზოდი მაინც მოხდა, ეს იყო გაუგებრობა, უნებლიე შეცდომა და არა წინასწარი განზრახვა. მოკლედ, შეიძლება დავასკვნათ: ეს თამაშები იყო მრავალმხრივ სასარგებლო დიდი გაკვეთილი, როგორც სპორტსმენებისთვის, ისეთი მათი მწვრთნელებისთვის და ჩვენი სპორტის მესვეურებისთვის.

რაკი ვახსენეთ, ორიოდე სიტყვით სწორედ ქართული სპორტის დღევანდელ მესვეურებზეც უნდა ვთქვათ. **დავით ნამგალაურმა**, მისმა მოადგილემ **გია გალდავამ**, სპორტის სამმართველოს უფროსმა **ირაკლი სამყურაშვილმა**, სხვა ახალგაზრდა თანამშრომლებმა, უდიდესი შრომა გასწიეს და ტრაბზონიდან წამოღებული მედლები ამის შედეგია. უდავოდ გონივრული და საერთო საქმის სასარგებლოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, როცა თამაშებზე საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ოლიმპიური და მსოფლიო არაერთგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ფალავანი **დავით გობეჯიშვილი**.

საერთოდ, დელეგაციის თავკაცზე დიდადაა დამოკიდებული ერთსულოვნება - ერთიანობის ხარისხი, რაღა თქმა უნდა, პასუხისმგებლობასთან ერთად. დავითი მოჭიდავეთა სამყაროდანაა, ეს სამყარო კი ერთიან, ულალატო ოჯახადაა ცნობილი, სხვებისთვის სამაგალითო ტრაბზონშიც ასე იყო. ნამდვილად ურყევია ტრადიციის ძალა, როცა მისი საფუძველთა საფუძველი თაობათა მტკიცე კავშირია.

ბათუმში გაცილებაზე უკეთესად დახვედრა მოუწყვეს ტრაბზონიდან სამშობლოში დაბრუნებულ ჩვენ სპორტულ დელეგაციას. მოედანზე სახელდახელოდ გამართულ სცენაზე გაიმართა კონცერტი. მანამდე სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებსა და თანმხლებ პირებს გულთბილად მიესალმენ და წარმატება მიულოცეს აჭარისა და ქალაქ ბათუმის ხელმძღვანელებმა. დელეგაციის სახელით დამხვდურებს მადლობა გადაუხადა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა.

"გვეზრდება ძალიან ლამაზი, ძლიერი და საიმედო თაობა, ქართული სპორტის ხვალინდელი დღე. როცა საძირკველი მყარია, ძლიერია ზედანაშენიც", - თქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა დავით გობეჯიშვილმა და... იქვე დასძინა: "ჩემი მისია შევასრულე, ვაცხადებ, რომ თანამდებობიდან გადავდექი".

თენგიზ გაჩეჩილაძე

## გამარჯვებულები და პრიზიორები საქართველოდან

### ჩემპიონები

1. გიორგი დავითაია (46), ანტიკური ჭიდაობა, სენაკი
2. პაატა ბაქურაძე (63), ანტიკური ჭიდაობა, ბათუმი
3. ზურაბ დათუნაშვილი (58), ანტიკური ჭიდაობა, თბილისი
4. ვასილ იმერლიშვილი (100), ანტიკური ჭიდაობა, რუსთავი
5. ზურაბ იაკობაშვილი (42), თავისუფალი ჭიდაობა, ყვარელი
6. გიორგი ბედოშვილი - მძლეოსნობა (ბირთვი), თბილისი

### მეორე პრიზიორები

1. როინ ძირკვაძე (42), ანტიკური ჭიდაობა, ბათუმი
2. ჯემალ ხარაბაძე (50), ანტიკური ჭიდაობა, ხულო
3. ლიკა დვალიშვილი - მძლეოსნობა (სიმაღლე), თბილისი
4. ნათია გელაშვილი - მძლეოსნობა (2000 მ), ბორჯომი
5. სალომე რიგიშვილი - მძლეოსნობა (ბადრო), თიანეთი
6. თორნიკე ბურჯალიანი (50), თავისუფალი ჭიდაობა, ცაგერი
7. თენგიზ ჩოჩიშვილი (58), თავისუფალი ჭიდაობა, გორი
8. გიორგი ჩიტაშვილი (85), თავისუფალი ჭიდაობა, ყვარელი

### მესამე პრიზიორები

1. თორნიკე ნაჭყებია (69), ანტიკური ჭიდაობა, თბილისი
2. გიორგი ლვინიაშვილი (76), ანტიკური ჭიდაობა, ქუთაისი
3. ბექა ჩოფლიანი (85), ანტიკური ჭიდაობა, ოზურგეთი
4. თორნიკე ბურჯალიანი (50, თავისუფალი ჭიდაობა, ცაგერი
5. დავით გელეგაშვილი (63), თავისუფალი ჭიდაობა, გორი
6. რევაზ ჯანელიძე (69), თავისუფალი ჭიდაობა, თბილისი
7. ოთარ ურატაძე (76), თავისუფალი ჭიდაობა, ქუთაისი
8. ვახტანგ ჯაფარიძე (48), ტაეკვონდო, თბილისი
9. მარი გულუაშვილი (44), ტაეკვონდო, თბილისი
10. ნინო ბერიძე (42), ტაეკვონდო, თბილისი
11. ბექა უმიკაშვილი (45), ტაეკვონდო, თბილისი
12. უჩა წულაია (50), ტაეკვონდო, თბილისი
13. ლევან პერტაია (51), ტაეკვონდო, თბილისი
14. გიორგი სანაია (63), ტაეკვონდო, თბილისი
15. ლუდვიგ ზილბერშტეინი - მძლეოსნობა (800 მ), ახალციხე
16. ენდრიკ ზილბერშტეინი - მძლეოსნობა (400 მ), ახალციხე
17. ქეთი ხატიაშვილი - მხატვრული ტანვარჯიში (მრავალჭიდი), თბილისი
18. ქეთი ხატიაშვილი - მხატვრული ტანვარჯიში (სახტუნელა), თბილისი
19. ქეთი ხატიაშვილი - მხატვრული ტანვარჯიში (ლენტი), თბილისი
20. ქეთი ხატიაშვილი - მხატვრული ტანვარჯიში (რგოლი), თბილისი

*შენიშვნა: ჩვენ დელეგაციას დაფიქსირებული ჰქონდა ბრინჯაოს კიდევ ერთი მედალი ქეთი ხატიაშვილისა და თეონა ხელაიას ჯგუფურ ვარჯიშში. თამაშების საბოლოო შედეგებში, რომელიც ინტერნეტშიც განთავსდა, ეს მედალი დაფიქსირებული არ არის. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელები, იმედია, მიზეზებს გაარკვევენ და საბოლოოდ დადგინდება მოპოვებული მედლების რაოდენობა 35 თუ 34?*

## ქვეყნები. მედლები. ადგილები

| | ოქრო | ვერც. | ბრინჯ. | სულ | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 86 | 57 | 31 | 174 | 1 |
| თურქეთი | 39 | 40 | 41 | 120 | 2 |
| უკრაინა | 21 | 23 | 12 | 56 | 4 |
| საბერძნეთი | 15 | 23 | 51 | 89 | 3 |
| რუმინეთი | 10 | 15 | 29 | 54 | 5 |
| აზერბაიჯანი | 9 | 7 | 11 | 27 | 7 |
| საქართველო | 6 | 8 | 20 | 34 | 6 |
| მოლდოვა | 0 | 3 | 15 | 18 | 8 |
| სომხეთი | 0 | 2 | 10 | 12 | 9 |
| ბულგარეთი | 0 | 2 | 3 | 5 | 10 |
| ალბანეთი | 0 | 2 | 1 | 3 | 11 |

## სიამაყე, რომელსაც სპორტის აკადემია ჰქვია, მაგრამ...

გუშინ, რედაქციას ჩვენი სპორტული სამყაროს რამდენიმე ცნობილი პიროვნება დაუკავშირდა, ყველა მათგანი მზად იყო თუნდაც ქვეყნის პრეზიდენტის სახელზე გამოექვეყნებინა მიმართვა, რათა არ მოხდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის შეერთება სხვა უმაღლეს სასწავლებელთან და დარჩეს დამოუკიდებელ ერთეულად, როგორც ეს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაშია.

დასამალი არ არის, მართლაც უმადურობა იქნებოდა, ისეთმა სახელოვანმა სასწავლებელმა, როგორიც ხსენებული აკადემიაა, დაბადებიდან 70 წლისთავისთვის დაასრულოს თავისი სახელოვანი სიცოცხლე. ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ აღზრდილი კადრები წარმატებით მუშაობდნენ და მუშაობენ საზღვარგარეთ, ამ სასწავლებლის დიპლომს ყველგან უპირობოდ აღიარებენ... სასწავლებელი ამაყობს იმ ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებით, რომლებიც აქ სწავლობდნენ და სწავლობენ. დღესაც, განა ბევრ რამეში ვუტოლდებით საერთაშორისო სტანდარტებს, გარდა სპორტისა, ანუ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელებისა? ამიტომ, ცოდოა ასეთი ტრადიციების ხელყოფა, რითაც თავი მოგვწონს მთელ მსოფლიოში. ერთ-ერთ უმთავრეს სვეტს თუ გამოვაცლით, ათწლეულობით ნალოლიავები ქართული სპორტის შენობა თავზე დაგვემხობა. ოპტიმიზაციას და ინტეგრაციას აქვს თავისი უპირატესობა, თუმცა ამ სფეროში ოფლდაღვრილი სპეციალისტები, კონკრეტულ შემთხვევაში, სასიკეთოს ვერაფერს ხედავენ და ეს ხალხი, რომელთა პატრიოტიზმში ეჭვის შეტანა მკრეხელობაა, სერიოზულად არიან შეშფოთებულნი. დიახ, ახლა ერთ უმაღლეს სასწავლებელს კი არა, მთლიანად ქართულ სპორტს, მის საგანმანათლებლო და მეცნიერულ სისტემას ემუქრება სერიოზული საფრთხე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონის ექო

# ფედერერი თუ ბორგი?

ერთი შტეფი გრაფისთვის არ შეუდარებიათ **როჯერ ფედერერი**, ისე კი, იცოცხლეთ, როგორც კი შვეიცარიელი ფენომენი მორიგ სასლემო ტურნირს იგებს, ინყება ნარსულში ჩხრეკვა და ათასგვარი სტატისტიკური ამბების მოგონება.

როჯერი თუ **ბორის ბეკერი**?...თუ **პიტ სამპრასი**?...თუ **როი ემერსონი**? იქნებ **ჯიმი კონორსსაც** სჯობდეს?

თანაც, ფედერერის ნარსულის ლეგენდებთან შედარებას ყოველთვის რაიმე მიზეზი ახლავს, ხოლო რადგან ამჯერად როჯერმა **ბიორნ ბორგის** დარად, უიმბლდონი ზედიზედ მეხუთედ მოიგო, ახლა "თუს" გასნვრივ ლეგენდარული სკანდინაველი დააყენეს.

## ძლიერი მხარეები

**ფედერერი**: პიტ სამპრასის მერე, საუკეთესო და ყველაზე სტაბილური ფორჰენდის მფლობელია. ბექჰენდისას როჯერი იდეალურად ინარჩუნებს კოორდინაციას და ბურთს ისე "ჭრის", რომ კორტიდან ასხლეტის მერე, მისი იგივე ძალით დაბრუნებისას, მონინააღმდეგე ბურთს ხშირად კორტს მიღმა უშვებს. ფედერერზე ძლიერი ბექჰენდი მხოლოდ გრანდთა შორის გამორჩეულ **როდ ლეივერს** ჰქონდაო - აღნიშნა ჯიმი კონორსმა.

**ბორგი**: თავისი დეკადის ვარსკვლავებიდან კორტზე ყველაზე სნრაფად და სნორად, ენერგიის მაქსიმალური დაზოგვით გადაადგილდებოდა. ჯიმი კონორსთან ერთად, თავისი სუპერთაობის მოთამაშეებს შორის უძლიერეს ორხელა ბექჰენდს ფლობდა, ხოლო ფორჰენდისას კი, თითქმის ყოველთვის ბურთს ისე ჭრიდა, რომ ნებისმიერ ოპონენტს პრობლემები ექმნებოდა. ბორგი ფედერერზე დიდი უნივერსალი იყო - შვედმა ექვსჯერ მოიგო "როლან გაროსი", ანუ თიხნარიდან ბალახზე (და პირიქით) გადანყობა მისთვის არანაირ პრობლემას არ ნარმოადგენდა.



ბორგი ფედერერის ტრიუმფს დაესნრო

## სუსტი მხარეები

**ფედერერი**: პრაქტიკულად, არ აქვს. ფედერერი კომპლექსურად ისეთივე იდეალურია, როგორც თავის დროზე **ივან ლენდლი** და **პიტ სამპრასი** იყვნენ. მისი ერთადერთი მინუსი, ალბათ, ნელ საფარზე (თიხნარზე) გადართვაა. ფედერერი აქაც თითქმის ყველას უგებს, მაგრამ **რაფაელ ნადალთან** იგი საფარიდან მაღლა ასულ ბურთს ესპანელზე ძლიერად ვერ აბრუნებს და კორტზე გადაადგილების მხრივაც, ესპანელი შვეიცარიელზე ნინაა. ასე რომ, მინუსი მხოლოდ თიხნარზე ნადალის ნინააღმდეგ გამოსვლაა.

**ბორგი**: მისი კოორდინაციისა და სისნრაფის მქონე მოთამაშეს, გაცილებით ხშირად უნდა ეთამაშა ბადესთან, ანუ აქტიური, აგრესიული ჩოგბურთით გასულიყო ფონს. ბორგი თვლიდა, რომ ბადესთან გასვლით, მისი თამაში იოლად პროგნოზირებადი გახდებოდა და ამიტომაც, უკანა ხაზზე დარჩენას ამჯობინებდა. არაჩვეულებრივად გრძნობდა ბურთს, თუმცა ბადესთან გასვლით თავი მაინც არასოდეს მოუკლავს.

## ვერდიქტი

**ფედერერი VS ბორგი**: თანამედროვე ჩოგბურთში ბიორნისა და როჯერის ნებისმიერი შეხვედრა სუპერბოულზე დიდი და მასშტაბური სანახაობა იქნებოდა. ცოტა ხნის ნინათ, კიდევ ერთ დიდ ჩემპიონს, შვედ **მატს ვილანდერს** ამ ორის სავარაუდო შეხვედრაზე დაუსვეს კითხვა. მატსმა აღნიშნა, რომ ნელ საფარზე ბორგი ფედერერს 10-დან 9 მატჩს მოუგებდა, ბალახსა და ჰარდზე კი, როჯერს ნამდვილად ვერ ექნებოდა იგივე უპირატესობაო. პრინციპში, ჩვენც ასე გვგონია. ბოლოს და ბოლოს, შვედის ეპოქამ ხომ მსოფლიო სპორტს კონორსი, **ჯონ მაკინროი**, ივან ლენდლი და კიდევ ბევრი ლეგენდა აჩუქა, ფედერერს კი ნადალი ჰყავს და...მორჩა. ამ ეტაპზე, იგივე **ენდი როდიკი**, შედეგებიდან გამომდინარე, ბუმბერაზებთან კი არა, თუნდაც არგენტინელ **გილერმო ვილასსაც** კი ძალიან ბევრით ჩამორჩება.

■ ■ ■

ამასობაში, ფედერერი სამპრასისა და როი ემერსონის რეკორდებს მოუახლოვდა. პიტს 14 სასლემო აქვს მოგებული, როის - 12, ფედერერი კი, ჯერ 11 ტიტულით ინონებს თავს.

როჯერს ასეთი ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, უკვე 2008 ნლის ამერიკის ღია პირველობის მოგებით შეუძლია სამპრასის გადასნრება. გაითვალისნინეთ ისიც, რომ როჯერი იმ დროისთვის მხოლოდ 27 ნლის იქნება, სამპრასმა კი თავისი ბოლო დიდი ტურნირი 31 ნლისამ მოიგო.

ამ ეტაპზე ფედერერს უიმბლდონზე (ზედიზედ 5 ტიტული), ამერიკასა (3) და ავსტრალიაში ნაუგებელი სერიები აქვს და "როლან გაროსის" ვერმოგებისა და თუნდაც სხვა რომელიმე სასლემოზე სერიის შენყვეტის შემთხვევაში, იგი პიტს დაენევა, ხოლო მისი გადასნრება ძალიან სნრაფად უნდა მოხდეს.

ჩოგბურთის ისტორიაში 10 და მეტი სასლემო შემდეგ მოთამაშეებს მოუგიათ - სამპრასი (14), ემერსონი (12), ფედერერი (11), ბორგი (11), **როდ ლეივერი** (10) და **ბილ ტილდენი** (10).

ფედერერს თავისი 11 ჩემპიონობა "დიდი სლემის" 32 ტურნირზე აქვს მოპოვებული - ეს კიდევ ერთი არაჩვეულებრივი მიღნევაა. და მაინც, ბორგი დიდი ჩოგბურთიდან მხოლოდ 25 (!) ნლის ასაკში რომ არ ნასულიყო, დღეს ფედერერს სასლემოთა რეკორდის გაუმჯობესებისას, არა სამპრასის, არამედ ამ უნიჭიერესი შვედის გვარის გაგონება დაებედებოდა. შედარება უმადური საქმეა.

**ზურაბ თალაკვაძე**



ანა ივანოვიჩი



მარია კირილენკო

უიმბლდონის ექო. გამოკითხვა

# შარაპოვამ აქაც ნააგო

ყოველ ნელს, უიმბლდონის მსვლელობისას, ბრიტანული ტაბლოიდი The Sun ტურნირის ყველაზე სექსუალური მონანილის გამოსავლენად, თავის მკითხველებს შორის სპეციალურ გამოკითხვას ატარებს.

ბოლო ნლებში აშკარა ლიდერად **მარია შარაპოვა** გვევლინებოდა. მაგრამ მსოფლიოს მესამე ჩოგანი ამჯერად ჩრდილში მოექცა და ვირტუალურ ფინალში გასვლაც კი ვერ შეძლო.

სამაგიეროდ, იქ მოხვდა შარაპოვას თანამემამულე, სეხნია და მეგობარი, რუსი ჩოგბურთელი **მარია კირილენკო**, რომელსაც კომპანიონობას უნევს სერბი **ანა ივანოვიჩი**. სნორედ ეს ორი ჩოგბურთელი დაასახელეს The Sun-ის მკითხველებმა უიმბლდონის ყველაზე სექსუალურ მონანილეებად. ამჟამად მიმდინარეობს ხმების დათვლა, რომლის შემდეგაც გაირკვევა ვირტუალური ფინალის გამარჯვებული.

უნდა აღინიშნოს, რომ კირილენკო ამ უიმბლდონზე პირველივე ნრიდან გამოეთიშა ბრძოლას, იმ დროს, როცა ივანოვიჩმა ნახევარფინამდე მიაღნია. შესაბამისად, მაყურებლებს სერბის გარეგნულ თვისებებზე დაკვირვების უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნდათ.

## TV სპორტი

### 10 ივლისი. სამშაბათი

#### იმედი

04:50 ფეხბურთი. კოპა ამერიკა. 1/2 ფინალი. ბრაზილია-ურუგვაი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლანსი-ლიონი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 ნლების სეზონი. ბაიერნი-რეალი.
18:05 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-რომა.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი.
22:05 არასაფეხბურთო ისტორიები.
22:35 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
00:25 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ჩოგბურთი.
08:25 სპორტკლუბი.
09:05 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სარაგოსა.
10:55 ჰოკეი. NHL. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ანაჰაიმი-მინესოტა.
12:50 მინი-მოედანი.
13:05 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
15:35 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადოდი სი იუნაიტედი.
17:20 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
19:00 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
20:50 ჰოკეი. NHL. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. სტენლის თასი. ანაჰაიმი-მინესოტა.
22:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
23:05 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2003-04 ნლების სეზონი. ლოკომოტივი-დინამო.
00:50 სპორტის სამყარო.
01:15 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სარაგოსა.
03:00 მინი-მოედანი.
03:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადოდი სი იუნაიტედი.
04:55 სპორტკლუბი.
05:35 ფეხბურთი. 2006-07 ნლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
07:20 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

#### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:30 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ტორონტო. კანადა.
12:30 სპიდვეი. უელსის გრან-პრი.
13:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი (LIVE).
13:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. II ეტაპი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. არგენტინა-ჩრ. კორეა. კანადა.
20:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ზაგრები. ხორვატია.
21:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლოზანა. შვეიცარია (LIVE).
00:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:30 ავტოსპორტი.
02:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. III ეტაპი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-იაპონია. იტალია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-ნლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პორტუგალია-გამბია. კანადა.
17:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი.
18:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 სერფინგი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. სილვერსტოუნი. ბრიტანეთი.
23:00 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ტორონტო. კანადა.
00:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). აშშ-ის საფეხბურთო ლიგა. ფლეი ოფი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5225 |
| 3(5). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 3310 |
| 4(3). ენდი როდიკი (აშშ) | 3230 |
| 5(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3185 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2780 |
| 7(12). რიშარ გასკე (საფ) | 2220 |
| 8(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2200 |
| 9(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2075 |
| 10(11). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 2045 |
| 11(10). ტომი ჰაასი (გერ) | 2035 |
| 12(12). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1940 |
| 13(8). ენდი მარეი (ბრიტ) | 1935 |
| 14(14). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1875 |
| 15(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 1610 |
| 16(17). გილერმო კანიასი (არგ) | 1607 |
| 17(18). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1505 |
| 18(16). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1370 |
| 19(20). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 1335 |
| 20(22). კარლოს მოია (ესპ) | 1260 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 886 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 801 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 561 |
| 4(5). ენდი როდიკი (აშშ) | 329 |
| 5(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 325 |
| 6(6). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 293 |
| 7(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 280 |
| 8(18). რიშარ გასკე (საფ) | 257 |
| 9(10). მიხაილ იუჟნი (რუს) | 249 |
| 10(9). გილერმო კანიასი (არგ) | 241 |
| 10(8). ტომი რობრედო (ესპ) | 241 |
| 12(13). ტომი ჰაასი (გერ) | 240 |
| 13(16). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 239 |
| 14(17). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 227 |
| 15(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 220 |
| 16(11). ენდი მარეი (ბრიტ) | 214 |
| 17(19). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 208 |
| 18(14). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 204 |
| 19(14). კარლოს მოია (ესპ) | 198 |
| 20(22). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 179 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 4 059 820 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 997 135 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 924 850 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 979 050 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 929 665 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 869 420 |
| 7. ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ) | 868 320 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუს) | 793,280 |
| 9. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 790 795 |
| 10. რიშარ გასკე (საფ) | 742 790 |
| 11. გილერმო კანიასი (არგ) | 722 115 |
| 12. ტომი ჰაასი (გერ) | 690 035 |
| 13. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 645 465 |
| 14. მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 631 155 |
| 15. ბობ ბრაიანი (აშშ) | 626 385 |
| 15. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 626 385 |
| 17. ტომი რობრედო (ესპ) | 618 247 |
| 18. დავიდ ფერერი (ესპ) | 564 302 |
| 19. ენდი მარეი (ბრიტ) | 544 955 |
| 20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპ) | 540 450 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელ) | 4457 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3678 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3241 |
| 4(5). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2978 |
| 5(6). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2898 |
| 6(4). ამელი მორესმო (საფ) | 2424 |
| 7(8). სერენა უილიამსი (აშშ) | 2380 |
| 8(7). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2221 |
| 9(9). ნადია პეტროვა (რუს) | 2002 |
| 10(10). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1973 |
| 11(19). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1875 |
| 12(12). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1857 |
| 13(11). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1845 |
| 14(14). დინარა საფინა (რუს) | 1742 |
| 15(13). ელენა დემენტიევა (რუს) | 1699 |
| 16(15). პატი შნიდერი (შვეიც) | 1671 |
| 17(31). ვენუს უილიამსი (აშშ) | 1655 |
| 18(16). შაარ პეერი (ისრ) | 1529 |
| 19(17). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1410 |
| 20(18). ნა ლი (ჩინ) | 1159 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენი (ბელ) | 3245 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2990 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2431 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2161 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 1785 |
| 7. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1630 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1495 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1463 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1421 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1420 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 1406 |
| 13. დინარა საფინა (რუს) | 1336 |
| 14. ნადია პეტროვა (რუს) | 1288 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 1222 |
| 16. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1186 |
| 17. პატი შნიდერი (შვეიც) | 979 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუს) | 966 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 940 |
| 20. ნა ლი (ჩინ) | 937 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენენი (ბელ) | 2 534 430 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 799 034 |
| 3. ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 481 448 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 381 270 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1 307 255 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 051 574 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 1 001 652 |
| 8. მარიონ ბარტოლი (საფ) | 904 081 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 767 565 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 726 232 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 606 792 |
| 12. მარა სანტანჯელო (იტა) | 599 591 |
| 13. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 573 156 |
| 14. კარა ბლეკი (ზიმ) | 563 464 |
| 15. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 546 236 |
| 16. შაარ პეერი (ისრ) | 541 780 |
| 17. ამელი მორესმო (საფ) | 539 284 |
| 18. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 530 366 |
| 19. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 509 889 |
| 20. ნადია პეტროვა (რუს) | 492 906 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| აზიის თასი | |
|---|---|
| იაპონია-კატარი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| მაინცი-პაიდუკი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| გაის-ჰელსინგბორგი | 3:1 |
| გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1:1 |
| აიკ-ელფსბორგი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-პიკ | 3:3 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-ბრეი | 2:0 |

### ჩოგბურთი

| ATP. ბაშტადი | |
|---|---|
| ალმაგრო-პრპიჩი | 6:1, 3:6, 6:1 |
| ვოლანდრი-ლუცი | 4:6, 7:5, 6:1 |
| დლუჰი-რიდერსტედტი | 6:1, 6:4 |
| მასუ-კოროლიოვი | 4:6, 6:3, 6:4 |
| მოია-ნავარო | 6:2, 6:4 |
| ნიემინენი-ო. როხუსი | 4:6, 2:6 |
| რობრედო-ორნა | 1:6, 6:1, 1:6 |
| **ATP. გშტაადი** | |
| ვლიეგენი-გაუდიო | 6:4, 6:7, 6:4 |
| კოლშრაიბერი-ჰერნიჩი | 7:6, 7:6 |
| **ATP. ნიუპორტი** | |
| გაბაშვილი-კარანუშიჩი | 4:6, 3:6 |
| დანჩევიჩი-კიმი | 6:3, 6:3 |

## სხვადასხვა

კალათბურთი

### ბელინელის 37 ქულა

"გოლდენ სტეიტ უორიორზმა" საზაფხულო ლიგაზე პირველი მატჩი ჩაატარა. "მეომრებმა" 110:102 მოუგეს "ნიუ ორლეანს". "უორიორზის" რიგებში 40 წუთი შეუცვლელად ითამაშა იტალიელმა **მარკო ბელინელიმ**. ამ მცველმა თამაშიდან 20-დან 14 ტყორცნა გამოიყენა, მათ შორის, 5 სამქულიანი. ჯამში, ბელინელის ანგარიშზე 37 ქულა მოდის.

შეგახსენებთ, რომ "გოლდენ სტეიტმა" იტალიელი კალათბურთელი წლევანდელ დრაფტზე მე-18 ნომრად აირჩია. შარშან ბელინელი იტალიის "ფორტიტუდოს" ღირსებას იცავდა.

ამასობაში, "უორიორზმა" წლევანდელ მედრაფტეს, ფორვარდ **ბრენდან რაიტს** გაუფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულება ორწლიანია, რომელიც თანამშრომლობის კიდევ ორი წლით გახანგრძლივებას ითვალისწინებს.

რაიტი დრაფტზე მერვე ნომრად "შარლოტ ბობკეტსმა" აიყვანა და მაშინვე "გოლდენ სტეიტს" გაუცვალა.

### ოდენის 10 პერსონალური

საზაფხულო ლიგაში დებიუტი ჰქონდათ დრაფტის პირველ და მეორე ნომრებს, **გრეგ ოდენსა** და **კევინ დიურანტს**.

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ახალწვეულმა ოდენმა "ბოსტონ სელტიქსის" წინააღმდეგ ითამაშა, 20 წუთში 10 (!) პერსონალურის მიღება მოასწრო და ვადაზე ადრე დატოვა მოედანი. დრაფტის პირველმა ნომერმა 6 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა, მისმა გუნდმა კი 66:74 წააგო.

გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა სიეტლელ **კევინ დიურანტს** "დალასთან" ნაგებულ მატჩში. ახალგაზრდა კალათბურთელმა 18 ქულა მოიპოვა, 4-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, 9-დან 7 საჯარიმო გამოიყენა და ერთხელ მოხსნა ბურთი.

### ნავარო კლივლენდს აირჩევს?

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ბარსელონამ" თავის ლიდერს, **ხუან კარლოს ნავაროს** NBA-ში გადასვლის ნება დართო.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ამ კალათბურთელის გადაბირებით NBA-ის წლევანდელი ფინალისტი, "კლივლენდ კავალიერსია" დაინტერესებული. აი, რას აცხადებს ნავაროს აგენტი: *"კლივლენდი" ერთ-ერთია ასოციაციის იმ რვა გუნდიდან, რომელიც ნავაროს შეძენას აპირებს. ჩემი კლიენტი ისეთ გუნდს ეძებს, რომელიც მას თამაშის ახალ დონეზე გასვლაში დაეხმარება. ხუან კარლოსი გამოცდილი და ჭკვიანი მოთამაშეა და ბევრი კლუბისთვის შეუძლია დახმარების გაწევა".*

სავარაუდოდ, ნავარო "კავალიერზთან" სამწლიან და 12-მილიონიან კონტრაქტს გააფორმებს. დღეისათვის, ის "ვაშინგტონ უიზარდსის" საკუთრება გახლავთ.

### ნიქსი არტესტს უმიზნებს

"ნიუ იორკ ნიქსი" **რონ არტესტის** ტრანსფერზე მუშაობს, მაგრამ "საკრამენტო კინგზთან" გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ "მეფეების" ხელმძღვანელობა არტესტის სანაცვლოდ **დევიდ ლის** არ მოითხოვს.

ნიუიორკული კლუბის მთავარი მწვრთნელის, **აიზია ტომასის** განცხადებით, "ნიქსი" მაშინვე შეწყვეტს "საკრამენტოსთან" მოლაპარაკებებს, თუ "კინგზი" ლიზე ჩამოაგდებს სიტყვას.

"ნიქსის" შეფობის პოზიცია ცოტათი გაუგებარია, რადგან "ნიუ იორკში" **ზაკ რენდოლფის** მისვლით, დევიდ ლის სათამაშო დრო შეიზღუდება.

შეგახსენებთ, რომ არტესტის ხელში ჩაგდების კიდევ ერთი პრეტენდენტი "ჰიუსტონ როკეტსი" გახლავთ.

ფორმულა 1

### ქულთარდი: რედ ბულში 2008 წლამდე

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე "რედ ბულმა" ოფიციალური წერილი გაავრცელა, საიდანაც ვიგებთ, რომ შოტლანდიელი პილოტი, **დევიდ ქულთარდი** გაისადაც ამ საჯინიბოს სახელით იასპარეზებს.

ასევე ცნობილი ხდება, რომ წლევანდელის მსგავსად, მომავალ სეზონშიც ქულთარდის პარტნიორი ავსტრალიელი პილოტი **მარკ უებერი** იქნება.

36 წლის ქულთარდი ფორმულა 1-ში 1994 წლიდან ასპარეზობს და ის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანი მონაწილეა.

### უკან რენოში?

გუშინ, საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა ესპანურმა გაზეთმა AS-მა. ფრანგული "რენოს" ხელმძღვანელებმა თავიანთ ყოფილ პილოტს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფერნანდო ალონსოს**, "მაკლარენთან" კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ, გუნდში დაბრუნება შესთავაზეს.

გაზეთის ცნობით, "რენოს" სპორტულმა დირექტორმა **ფლავიო ბრიატორემ** ალონსოს ორწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ ესპანელის მოქმედ კონტრაქტს "მაკლარენთან" 2008 წლის ბოლოს ეწურება ვადა.

ჩოგბურთი

### ავსტრალიას სტოსური გამოაკლდა

მომავალ უიქ ენდზე ფედერაციის თასის (ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი) მეოთხედფინალური მატჩების გამართვაა დაგეგმილი. ერთ-ერთ წყვილში ავსტრალიის ნაკრები უკრაინას უმასპინძლებს.

ავსტრალიელებს ამ შეხვედრაში თავიანთი ლიდერის, მსოფლიო კლასიფიკაციის 29-ე ნომრის, **სამანტა სტოსურის** გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა. როგორც ირკვევა, სტოსურს ვირუსული ინფექცია შეეყარა და ამ კვირას მისი თამაში გამორიცხულია.

ასე რომ, ავსტრალია მეტოქეს ასეთი შემადგენლობით დაუხვდება: **ალისია მოლიკი, ნიკოლ პრატი** და **კეისი დელაკუა**.

ოლიმპიზმი

### ნარკომანი ვიცე-პრეზიდენტი

პოლონურ ოლიმპიურ მოძრაობაში დიდი სკანდალი ატყდა. ნარკოტიკების გავრცელების გამო, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **არტურ პილკა**. გარდა ამისა, ამ უკანასკნელმა სპორტის საკითხებში პოლონეთის პრეზიდენტის, **ლეხ კაჩინსკის** მრჩევლის პოსტიც დატოვა.

პოლონეთის იუსტიციის მინისტრმა **ზბიგნევ ზიობრომ** სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პილკამ ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით კილოგრამი კოკაინი გაასაღა. თავად ექსმიტანილი ამბობს, რომ კოკაინს მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის იძენდა.

## ველოსპორტი



ბოონენი (მარცხნივ) სტეეგმანსს გამარჯვებას ულოცავს

ტურ დე ფრანსი

# სტეეგმანსის პირველი გამარჯვება

ბელგიელი **გერტ სტეეგმანსის** გამარჯვებით დასრულდა ტურ დე ფრანსის მეორე ეტაპი, რომლის ფინიშიც ბელგიის ქალაქ გენტში მდებარეობდა. სტეეგმანსმა, ვინც ბელგიურ გუნდ "ქვიკსტეპში" მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის, ბელგიელივე **ტომ ბოონენის** "ლეიტენანტია", თავი დააღწია ფინიშამდე ორიოდე კილომეტრით ადრე მომხდარ ზედახორას და ზედ ფინიშზე გადაასწრო ბოონენს. მოკლედ, სტეეგმანსმა კარიერაში პირველად მოიგო ფრანგული ტურის ეტაპი.

ზედახორაში მოყვა ყვითელი მაისურით მოასპარეზე შვეიცარიელი **ფაბიან კანჩელარაც**, რომელსაც ინციდენტის დროს ხელი კი გადაუტყავდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ფინიშს მაინც მიაღწია და საერთო ჩათვლაში ლიდერობაც შეინარჩუნა.

*"თავიდან ხელი ძალიან მტკიოდა, მაგრამ შემდეგ გამიარა. მომდევნო ეტაპის სტარტამდე კი ალბათ საერთოდაც დამავიწყდება. ყველაფერი რიგზეა"*, - განაცხადა კანჩელარამ, ვინც ლიდერი პროლოგის მოგებით გახდა.

სხვათა შორის, სტეეგმანსი ადრე ავსტრალიელი **რობი მაკიუენის** თანაგუნდელი იყო, მაგრამ "ქვიკსტეპის" ხელმძღვანელობამ, უფრორე ბოონენის მოთხოვნით გადაიბირა და თავის ლიდერს მთავარ ასისტენტად გაუმწესა. მაგრამ, ახალწვეულმა ლიდერის ინტერესები არაფრად ჩააგდო და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მეორეზე დატოვა.

არადა, ფინიშამდე რამდენიმე მეტრით ადრე, ბოონენის უპირატესობა იმდენად სოლიდური იყო, რომ მან გამარჯვების ნიშნად, ხელებიც კი შემართა. სწორედ ამ მომენტში გაუარა თანაგუნდელმა და გამარჯვება ცხვირწინ ააცალა. მოკლედ, ბოონენმა ზედიზედ მეორე სპრინტერული ფინიში წააგო (პირველი პირველ ეტაპზე, მაკიუენთან), მაგრამ ამის მიუხედავად, სპრინტში ლიდერის მწვანე მაისურა მაინც მოირგო.

*"ყველაფრით კმაყოფილი ვარ. გერტმა თავისი გამარჯვება დაიმსახურა და ნურავინ იტყვის, რომ ის მე ვაჩუქე. მე კი იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ მწვანე მაისურას დაეუფლე"*, - განაცხადა ბოონენმა.

მეორე ეტაპი.
კენტერბერიდან გენტამდე (203 კმ)

**1. გერტ სტეეგმანსი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 3:48.22 (44.2 კმ/სთ); 2. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) იმავე დროში; 3. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკიგაზი); 4. რობერტ ჰანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი); 5. რომენ ფაილუ (საფრანგეთი, აგრიტუბელი); 6. რობი მაკიუენი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო); 7. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 8. ჰაინრიხ ჰაუსლერი (გერმანია, გეროლშტაინერი); 9. ოსკარ ფრეირე გომესი (ესპანეთი, რაბობანკი); 10. სებასტიან შავანელი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) ყველა იმავე დროში...**

კლასიფიკაცია ორი ეტაპის შემდეგ

**1. ფაბიან კანჩელერა (შვეიცარია, CSC) 8:36.13; 2. ნდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.13; 3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.21; 4. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 0.23; 5. ბრედლი უიგინსი (ბრიტანეთი, კოფიდისი) 0.23; 6. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, დისქავერი ჩენელი) 0.25; 7. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი) 0.26; 8. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.26; 9. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 0.29; 10. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 0.30...**

## მძლეოსნობა

ოქროს ლიგა

# ჯეკ პოტისთვის ოთხეულიღა იბრძვის

პარიზის "სტად დე ფრანსმა" მძლეოსანთა ოქროს ლიგის მეორე შეხვედრას უმასპინძლა, რომლის შემდეგაც, ტურნირის მილიონდოლარიანი ჯეკ პოტისთვის მებრძოლთა სიას ოთხი მძლეოსანიღა შემორჩა. ამერიკელმა **სანია რიჩარდსმა**, მისმა თანამემამულე **მიშელ პერიმ**, რუსმა **ელენა ისინბაევამ** და ფინელმა **ტერო პიტკამაეკიმ** ოქროს ლიგის ორივე შეხვედრაზე მიაღწიეს გამარჯვებას.

რიჩარდსმა 400 მეტრი 49.52 წამში გაირბინა, რითაც, გარდა იმისა, რომ ჯეკ პოტის მოპოვების შანსი შეინარჩუნა, სეზონის საუკეთესო შედეგიც დააფიქსირა. ამ სეზონში ჩემი მთავარი მიზანი ოქროს ლიგაზე ყველა ტურნირის მოგებააო - ნაფინიშევს განაცხადა რიჩარდსმა, ვინც ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე 200 მეტრზე სპრინტში იასპარეზებს, მისთვის ჩვეულ, 400 მეტრზე კი ვერ გამოვა, რადგან აშშ-ის ჩემპიონატზე სამეულს მიღმა დარჩა.

სხვათა შორის, ას მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს ჩემპიონმა პერიმაც წააგო აშშ-ის ჩემპიონატზე, მაგრამ ამჯერად იოლად მიაღწია მიზანს. პერიმ, ვისაც სეზონის საუკეთესო დრო (12.51 წამი) ეკუთვნის, ამჯერად ოდნავ ნელა (12.56 წამში) გაირბინა, რაც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ გამარჯვება მოეპოვებინა. ძნელი სათქმელია, მოიგებდა თუ არა, მისი თანაგუნდელი **ჯინი პაუელი** რომ არ დაცემულიყო.

კარგად იასპარეზა ისინბაევამაც, ვინც 4.91 მეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო და ამით სეზონის საუკეთესო შედეგი (4.88 მეტრი) გააუმჯობესა, რომელიც ამერიკელ **ჯენიფერ სტუჩინსკის** ეკუთვნოდა. გამარჯვება რომ გაინაღდა (მეორე ცდაზე), როგორც ყოველთვის, ისინბაევა თავის მსოფლიო რეკორდსაც (5.01 მეტრი) გაეჯიბრა, მაგრამ ამ სიმაღლეს მესამე ცდა ამაოდ შეალია. არადა, მიზანთან ახლოს იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსი მხტომელი ფორმაში, ფაქტობრივად, შესულია და მისგან მალე კვლავ რეკორდებია მოსალოდნელი.

შუბის ტყორცნაში დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია პიტკამაეკიმ. მისი ხუთი შემდგარი ცდიდან (87.71, 87.88, 85.08, 89.70, x და 82.78 მეტრი) სამი ისეთი იყო, რომ ნებისმიერი მათგანით, ფინელი გამარჯვებას შეძლებდა. ასპარეზობის შემდეგ, პიტკამაეკიმ განაცხადა, რომ უკვე შესულია იმ ფორმაში, რომლითაც მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებას იმედოვნებს.

ოქროს ლიგის პარიზული შეხვედრა საინტერესო იყო იმითაც, რომ 110 მეტრზე თარჯრბენში, კუბელმა **დეირონ რობლესმა** დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი, ჩინელი **ლიუ სიანი**. ოცი წლის კუბელმა, ვინც შარშან, მსოფლიოს ჭერქვეშა ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა, ცუდი სტარტი აიღო, მაგრამ ფინიშამდე მაინც შეძლო სიანისა და ოქროს ლიგის პირველი, ოსლოს შეხვედრის გამარჯვებულის, ამერიკელი **ანვარ მურის** ჩამოტოვება. რობლესმა ფინიშს 13.13 წამში მიაღწია, მური მეორეზე გავიდა, სიანი კი, ვინც იქადნის, რომ ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე თავისივე რეკორდის (12.88 წამი) გაუმჯობესებას აპირებს, მესამე ადგილს დასჯერდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა